ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

1 — 2 ოქტომბერი, 2011 №233 (5613) ფასი: 30 თეთრი

## „ახალი თაობა“+ კოკო შანელი 8 ლარი

26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე






ჰიბრიდული სიმინდის გამო პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირება გრ ელდება

## დეპუტატებმა ერთმანეთს კინაღამ სიმინდის ტაროები ურტყეს

გვ.2



გვ.3

## ვიქტორ დოლიძე: საქართველოში 1.800.000 ადამიანი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს“

საქართველოში ყველა ბიზნესს ნაციონალები დაეპატრონნენ

## ილია II ძეგლის დადგმას თბილისში აპირებენ?

გვ.2



## როგორ აწამებენ საქართველოში

გვ.4






გვ.5

## საქართველოს ხელისუფლებას პუტინის გაპრეზიდენტება აწყობს



## ლევან ვასაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს

გვ.3

## ისრაელი ევროსაბჭოდან საქართველოს გაძევებას მოითხოვს

გვ.4



ISSN 1987-9385
9 771987 938006

გვ.8

## თამუნა ამონაშვილი: „პატარა საქმეებთან ჭიდაობა არ მიყვარს“

მომღერალი კახეთში საგასტროლო ტურნეს იწყებს



## 3090 SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ზაზა გაბუნია: „დასუფთავების თბილისური ტარიფი პარიზულზე ძვირია“

თბილისის საკრებულოს ქრისტიან-დემოკრატმა წევრმა ზაზა გაბუნიამ საკრებულოს პარასკევის სხდომაზე დასუფთავების ტარიფთან დაკავშირებით გამართულ დებატებზე სპეციალური სტატისტიკა წარადგინა, რომლითაც მსოფლიოს 10 ყველაზე ძვირ ქალაქში არსებული დასუფთავების ტარიფები, თბილისურ ტარიფს შეადარა.

დეპუტატის განცხადებით, მსოფლიოს ყველაზე ძვირ ქალაქში, ტოკიოში, სადაც საშუალო ხელფასი 2 500 ამერიკული დოლარია დასუფთავების გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე 7 დოლარია.

პარიზი — დასუფთავების ტარიფი 7 დოლარი; საშუალო ხელფასი 2 000 დოლარი

კოპენჰაგენი — დასუფთავების ტარიფი 10 დოლარი; საშუალო ხელფასი 2 500 დოლარი

ოსლო — დასუფთავების ტარიფი 9 დოლარი; საშუალო ხელფასი 2 500 დოლარი

ციურიხი — დასუფთავების ტარიფი 12 დოლარი; საშუალო ხელფასი 3 000 დოლარი

ჰელსინკი — დასუფთავების ტარიფი 4 დოლარი; საშუალო ხელფასი - 1 800 დოლარი

ფრანკფურტი — დასუფთავების ტარიფი 8 დოლარი; საშუალო ხელფასი 3 000 დოლარი

ჟენევა — დასუფთავების ტარიფი 10 დოლარი; საშუალო ხელფასი 3 000 დოლარი

სინგაპური — დასუფთავების ტარიფი 6 დოლარი; საშუალო ხელფასი 2 000 დოლარი


ზაზა გაბუნია

ზაზა გაბუნია:

— საქართველოში დასუფთავების ტარიფი ჩვენთან მოქალაქეების მიერ მოტანილი ქვითრების მიხედვით ერთ სულიან ოჯახში 9 ლარს უდრის, რაც 5 დოლარზე მეტია. საშუალო ხელფასი კი საქსტატის მონაცემებით 610 ლარია (370 დოლარი). ეს აჩვენებს იმას, რომ თბილისელი მოქალაქისათვის საკუთარი შემოსავლის გათვალისწინებით დასუფთავების ტარიფი გაცილებით ძვირია პარიზის, კოპენჰაგენის, ჟენევის და სხვა ევროპული ქალაქის მოქალაქესთან შედარებით. ამ სტატისტიკის ფონზე კი ნათლად ჩანს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სოციალურად არასამართლიანია.

ქრისტიან-დემოკრატებმა საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე დასუფთავების ახალი ტარიფის გაუქმება მოითხოვეს.

**მედიანიუსი**

# დეპუტატებმა ერთმანეთს კინაღამ სიმინდის ტაროები ურტყეს

თეა მარხვაი ე

არ არის გამორიცხული, ძალიან მალე ჰიბრიდული სიმინდი ხელისუფლებისთვის უფრო მთავარი საზრუნავი გახდეს, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. მას შემდეგ, რაც საქართველოში უცნაური წარმომავლობის სიმინდი გამოჩნდა, ხელისუფლებას და ოპოზიციას დაპირისპირების ახალი საბაბი გაუჩნდა.



ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ასე თავგამოდებით რომ ებრძოლა აგვისტოს ომის დროს, შეიძლება რუსებს როკის აქეთ ფეხი ვერ შემოედგათ. ასევე შეიძლება ითქვას ოპოზიციაზეც. მათაც ასეთი თავგამოდებით რომ გაეწიათ წინააღმდეგობა რუსული არმიისთვის, სულ მინიმუმ, ახალგორი ჩვენ დაგვრჩებოდა.

ოპოზიციის მტკიცებით, ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის შემოტანით ხელისუფლებამ დიდი ფული გააკეთა. ბოლო დღეებში ოპოზიციის ლიდერები სოფელ-სოფელ დადიან და ცხარე ცრემლებით დასტირიან არმოსულ მოსავალს. ხელისუფლება კი იმით ამაყობს, რომ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდისგან დამზადებული მჭადი და ღომი იგემა.

დაპირისპირებამ სიმინდის გარშემო გუშინ საკანონმდებლო ორგანოს შენობაში გადაინაცვლა. ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის სიკეთეებზე სასაუბროდ პარლამენტში სოფლის მეურნეობის მინისტრი მივიდა. მისი მოსმენა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე გაიმართა. დეპუტატები სხდომაზე სიმინდის ტაროებით შეიარაღებული მივიდნენ.

სხდომას ამ კვირის მთავარი გამრტყმელი აკაკი ბობოხიძეც ესწრებოდა. ყველას ეგონა, რომ ის სხდომაზე კრივის ხელთათმანებით მივიდოდა. მოლოდინი არ გამართლდა და ბობოხიძე სიმინდის ტაროთი გამოცხადდა. ოპოზიციისგან აღშფოთებული ბობოხიძე ისე ოსტატურად იქნევდა სიმინდის ტაროს, მასთან ზეზვა გაფრინდაულის ხმლის ტრიალი რა მოსატანია.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ სიმინდის ტაროებს ოპოზიციაც ატრიალებდა. მთლად ბობოხიძესავით ოსტატურად არა, მაგრამ მათაც კარგად გამოუვიდათ ეს საქმე.

პირველი სიმინდის ტარო ქდმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა იშიშვლა. მან დეპუტატებს უხარისხო სიმინდის ტარო უჩვენა. რითიც დაამტკიცა, რომ ჰიბრიდული სიმინდი უხარისხოა.

სწორედ მაშინ წამოხტა ბობოხიძე ლომივით ზეზე და საგანგებოდ შერჩეული ტარო ააფრიალა. მისი არგუმენტი უფრო კარგად გამოიყურებოდა. სიმინდის გარდა, ბობოხიძემ ორი მწვანე შეფერილობის ვაშლიც მოიტანა. ერთი პატარა იყო, მეორე უფრო დიდი. როგორც დეპუტატმა განმარტა, ეს ვაშლები ერთმანეთის უახლოესი ნათესავები იყვნენ.

— ერთმანეთისგან განსხვავებული ეს ვაშლები ერთი ხიდან არის მოწყვეტილი. შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ ერთი და იმავე ჯიშის სიმინდის თესლისაგან სხვადასხვა ხარისხის ნაყოფი აღმოცენებულიყო. ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა და თუ სადმე სიმინდის მცირე და ცუდი მოსავალი მოვიდა, უპირველესად, კლიმატური პირობებით იყო განპირობებული, — განაცხადა ბობოხიძემ.

მან ღრმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ოპოზიცია მის მიერ ნაქები პროგრამის მიმართ იმთავითვე ბოროტად განეწყო.

— ჰიბრიდული სიმინდის თესლი ყანაში შემოტანილიც არ იყო, როცა ამბობდით, რომ საქონელი და ქათამიც კი არ ჭამდა. ამ სიახლეზე ყველა გლეხი და ფერმერი ინფორმირებული იყო, მაგრამ ის არავის უთქვამს, რომ თესლს ჰაერში აყრი და მოსავალი თავისით მოვაო. ეს მნიშვნელოვნად კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული, — დაიჩივლა აკაკი ბობოხიძემ.

ბობოხიძის მოტანილმა ვაშლმა ოპოზიცია ცოტა დააბნია, მაგრამ თავისი მაინც არ მოიშალეს.

ქდმ-ს წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ იმის გამო გაინერვიულა თავი, რომ ჰიბრიდული სიმინდის თესლის ყიდვასა და დათესვას გლეხებს სოფლების გამგებლები აძალებდნენ.

— გამგებლები ამბობდნენ, რომ გლეხების უარის შემთხვევაში მათ თანამდებობიდან მოხსნა ემუქრებოდათ, — განაცხადა ვეფხვაძემ.

სხდომაზე საგანგებოდ მიწვეულმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ეს ინფორმაცია საორმოცე მიცვალებულივით შეიცხადა. ის ვეფხვივით აღშფოთებულ ვეფხვაძეს ჩააცივდა, გინდა თუ არა, იმ გლეხების სია მოიტანე, რომლებსაც ასეთი პრობლემა შეექმნათ.

აგრარული კომიტეტის სხდომაზე ვეფხვაძე და ბაკურ კვეზერელი რამდენჯერმე მწარედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მინისტრმა კონსტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენელს სულ დემაგოგი ეძახა.

**ჰიბრიდული სიმინდის გამო პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირება გრ ელდება**

ოპოზიციის გულის გასახეთქად კი ამაყად განაცხადა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი სოფელი, სადაც ჰიბრიდული სიმინდის მოსავალი არ მიუღიათ. ამასთან ისიც აღიარა, რომ სადღაც-სადღაც ამ პროგრამამ მსუბუქი კრახი განიცადა.

— თუმცა იმ ადგილებშიც კი, სადაც სიმინდის მოსავალი შედარებით მცირე რაოდენობით მოვიდა, იმ მოსავალზე მეტი მაინც იყო, რომელსაც საბჭოთა პერიოდში იღებდნენ, — დაიმშვიდა გული კვეზერელმა.

მისი განცხადებით, გასულ წლებში საქართველოში დაახლოებით 10 მილიონი დოლარის ღირებულების სიმინდის იმპორტი ხორციელდებოდა, წელს კი, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის განხორციელების შედეგად, მარტო ერთ წელიწადში საექსპორტოდ 40 მილიონი დოლარის სიმინდს გავიტანთ.

ოპოზიციას ხელისუფლების არგუმენტები საერთოდ არ გაუზიარებია. უფრო მეტიც, ისინი გამწარებული ამტკიცებდნენ, ეს პროგრამა იმიტომ შემოიტანეს, ვიღაცეებმა ფული რომ გააკეთონო.

ნაციონალები ისევ თავის პოზიციაზე დარჩნენ და ამტკიცებენ, რომ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდით დამზადებულ ჭადზე გემრიელი არაფერი არ არსებობს. ოპოზიციას ეჭვი ეპარება, ხელისუფლებამ ამ სიმინდით გამოკვებოს ახლობლები. ისინი პირობას დებენ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ და გაარკვევენ, ვინ მდიდრდება გლეხების ხარჯზე.

## ილია II ძეგლის დადგმას თბილისში აპირებენ?



— ცოცხალ ადამიანებს ძეგლს არ უდგამენ. ჟურნალისტებისგან გავიგე, რომ პატრიარქის ქანდაკების დადგმა იგეგმება ქალაქში. თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, მეეჭვება უწმინდესი ამაზე დათანხმდეს, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმა.

ილია II-ის ქანდაკება თბილისში მოსკოვიდან რამდენიმე კვირაა ჩამოიტანეს. ძეგლის ავტორი რუსეთში მოღვაწე ქართველი მხატ ვა რი ზურაბ წერეთელია. ამჟამად ძეგლი შეფუთულ მდგომარეობაშია და გაურკვეველია, თბილისში სად იგეგმება ილია II-ის ძეგლის დადგმა.

თბილისის მერიის პრესსამსახურის ცნობით, პატრიარქის ქანდაკების რუსეთიდან ჩამოტანასთან დაკავშირებით მერია ინფორმაციას არ ფლობს და მათთვის არავის მიუმართავს პატრიარქის ძეგლისთვის ადგილის გამოყოფის მოთხოვნით. როგორც მამა მიქაელ ბოტკოველი აცხადებს, პატრიარქს არანაირი ინფორმაცია არ აქვს წერეთლის ქანდაკების შესახებ.

— ორი დღის წინ ვნახე და ვესაუბრე. მას არანაირი ინფორმაცია არ აქვს ამის შესახებ. როგორც ვიცი, ის არც ზურაბ წერეთელს სეხვედრია, — აცხადებს მამა მიქაელ ბოტკოველი.

წერეთელმა 2.8 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება 2003 წელს შექმნა და აქამდე მოსკოვში, რუსეთში მოღვაწე ქართველი მოქანდაკის ხელოვნების მუზეუმში იყო განთავსებული.

**ათბ-ნიუსი**

## მართვის მოწმობის პლასტიკური ბარათის ტარება სავალდებულო აღარ იქნება




საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით კიდევ ერთი ინოვაცია დაინერგა. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან, იმ პირებს, ვისაც საქართველოს შს სამინისტროს მიერ გაცემული მართვის მოწმობები აქვთ, საქართველოს ტერიტორიაზე ავტომობილით გადაადგილებისას უპრეცედენტო შეღავათით სარგებლობის უფლება ეძლევათ: პირველად მსოფლიოში მართვის მოწმობის პლასტიკური ბარათის ტარება სავალდებულო ძალას კარგავს და, საჭიროების შემთხვევაში, საპატრულო პოლიცია მძღოლის მიერ მართვის უფლების ქონას მისი სახელის, გვარისა და დაბადების თარიღის ელექტრონულ ბაზაში გადამოწმების შედეგად დაადგენს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვიქტორ დოლიძე: საქართველოში 1.800.000 ადამიანი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების წევრი ვიქტორ დოლი ე ქვეყანაში არსებულ სოციალურ ვითარებაზე საუბრობს. ის აცხადებს, რომ ხელისუფლებას სოციალური პოლიტიკა არა აქვს.**

ქვეყანაში არსებულ სოციალურ პოლიტიკაზე „ახალი თაობა“ ვიქტორ დოლიძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

***— ბატონო ვიქტორ, ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა შექმნილი. მიუხედავად ამისა, ადამიანები პროტესტს ორგანიზებული სახით არ გამოხატავენ. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?***

— სოციალური თემა მრავლის მომცველია, ის ითვალისწინებს როგორც ჯანდაცვის საკითხებს, ასევე პენსიონერთა პრობლემებს, ინფლაციის, სასურსათო კალათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებს. ამ კუთხით ჩვენი ქვეყანა უკან მიდის. თუ სტატისტიკურ მონაცემებს ავიღებთ და არა ციდან ჩამოყვანილ ციფრებს, ვნახავთ, რომ მდგომარეობა შარშანდელთან, შარშანწინდელთან შედარებით მართლაც გაუარესებულია. ამ სფეროში სისტემის, ხედვის არ არსებობა იწვევს სწორედ ამ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენს მოქალაქეებს აწუხებთ. მაგალითად, თბილისის საკრებულოში, საკრებულოს წევრებს ხალხთან შეხვედრები გვაქვს, რაც კარგი შესაძლებლობაა მოქალაქეებთან ურთიერთობის, ამის ფონზე ნათლად ჩანს და იგრძნობა, როგორ გაუარესდა მდგომარეობა.

***— კონკრეტულად რა მიმართულებით?***

— მაგალითად, სოციალური საცხოვრისის არ არსებობა. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ხალხისთვის ურთულესი მდგომარეობა. ბუნებრივია, ეს ბევრმა ფაქტორმა გამოიწვია. მათ შორის გლობალურმა ფაქტორებმაც, მაგრამ ყველაზე ნაკლებად შეეხო საქართველოში გლობალური ფაქტორები ამას, ამაშია მთელი უბედურება.

***— მიზეზები რა არის?***

— გაუაზრებელი, გაუგებარი პოლიტიკის შედეგია ის, რაც ამ სფეროში ხდება. მაგალითად, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისიის მუშაობა. კონტროლის პალატამ პარლამენტში შეიტანა თავისი აქტი, ასე გაუაზრებლად და არასწორად ფუნქციონირება, მაგალითად, 2008-2010 წლების მონაცემებით მხოლოდ ორ წელიწადში სახელმწიფომ პოლისების ბითუმად შესასყიდად 350 მილიონი ლარი გამოყო და მხოლოდ 140 მილიონი ლარი მოხმარდა მათ, ვისაც უნდა მოხმარებოდათ. მოგების მარჯა დაახლოებით 27 პროცენტია. ბენეციარამდე პრაქტიკულად არაფერი მისულა. პლუს ამას მხოლოდ 20 პროცენტი არის დაზღვეული, ისინიც როგორ იყენებენ დაზღვევას, ესეც ხომ კარგად ჩანს. ჩვენ ამ ზაფხულს ასობით სოფელი მოვიარეთ და ვნახეთ, რომ ხალხამდე არაფერი არ მიდის. ის ფაქტები, რაც არსებობს, ნათლად მეტყველებს სადაზღვევო პოლიტიკაში არსებულ მდგომარეობაზე. არ არსებობს ქვეყნის სახელმწიფო-სადაზღვევო არც სისტემა, არც სამომავლო ხედვა, გეგმა თუ როგორ აპირებს ხელისუფლება ამის გაკეთებას. არის მხოლოდ და მხოლოდ კერძო კომპანიები, რომლებსაც მონოპოლიური და კორუფციული პირამიდა აქვთ შექმნილი, რომლებიც მხოლოდ საკუთარ მოგებაზე მუშაობენ. ჩვენ არ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ კერძო კომპანიები არ უნდა არსებობდნენ. პირიქით, ისინი უნდა ოპერირებდნენ კიდეც, მაგრამ კონკურენტუნარიან და ჯანსაღ გარემოში. სახელმწიფომ უნდა შექმნას კონკურენტუნარიანი და ჯანსაღი გარემო, ამის ხელშეწყობა სწორედ მისი მოვალეობაა. როგორც ჩვენი ხელისუფლება ამბობს, თითქოს ევროპისკენ მივდივართ, ისე ვეღარ გავიგე, სიმართლე გითხრათ, ევროპისკენ უნდა მას თუ სინგაპურისკენ, მაგრამ თუ ევროპისკენ მივდივართ, არსებობს კლასიკური მაგალითები, რომლის გამოყენება არის საჭირო, ველოსიპედის გამოგონება არ არის აუცილებელი. თუ ევროპისკენ მივდივართ, წარმოუდგენელია სახელმწიფო სოციალური უსაფრთხოების სისტემა არ გქონდეს თავისი ყველა შემადგენელი ელემენტით. ეს არის არათუ შეცდომა, ან არა კომპეტენტურობა, არამედ დანაშაული საკუთარი მოქალაქეების წინაშე. ადამიანების სოციალური უსაფრთხოების დაცვაზე ხელის აღებაა. პასუხისმგებლობის მოხსნაა. ხელისუფლება მოქმედებს ისე, როგორც მას მიაჩნია, რომ ასე უნდა მოიქცეს.

**საქხითველოში ყველა ბიზნესს ნაციონალები დაეპატრონნენ**



ვიქტოი დოლიძე

***— რას შეიძლება უკავშირდებოდეს?***

— არ ვიცი, ეს პოლიტიკური ნების არ არსებობას უკავშირდება თუ არაკომპეტენტურობას, მე ვფიქრობ, ორივე ერთია. თუმცა, ერთი მეორეზე უარესია. მაგალითად, ბოლო დღეებია ჰიბრიდული სიმინდის თემის დაპიარება ხდება, რომ ყველაფერი კარგად არის და ექსპორტზე გავიდა ასი ათასობით ტონა სიმინდი. ეს ხომ თვალში ნაცრის შეყრაა. პირადად რომ არ ვყოფილიყავით და პირადად რომ არ გვენახა სამგრელოში, გორში, სადაც ირაკლი ალასანია იყო ჩასული, ჰიბრიდული სიმინდის ყანები, არაფერს ვიტყოდი. პრაქტიკულად მოსავალი გლეხამდე არ მისულა. თანხები, რომელიც მათ დახარჯეს, არათუ ვერ ამოიღეს, არამედ მოსავალიც ვერ მოიმკეს. წარმოიდგინეთ, რა დღეში არიან. ძალიან მარტივი მიზეზი აქვს ამ ყველაფერს. სოფლის მეურნეობა, ჩემი აზრით, ნიშა უნდა იყოს ქართული ეკონომიკის მომავალი განვითარების. მიწების ნახევარზე მეტი მოუხნელია. გადამამუშავებელი მრეწველობა რომ ავიღოთ, რომელიც თავიდან ბოლომდე სოფელთან უნდა იყოს მიბმული და სერიოზული წვლილი უნდა შეჰქონდეს, არავითარი მსგავსი არ ხდება. მხოლოდ და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის პრინციპზე დაფუძნდა ყველაფერი. როგორ შეიძლება ჩვენნაირ აგრარულ ქვეყანაში, მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების კიტრის, პომიდვრის, კარტოფილის იმპორტი უფრო მეტი იყოს, ვიდრე ექსპორტი. ხომ შეგვიძლია იმდენი ვაწარმოოთ, რომ საქართველოსაც ეყოს და ექსპორტზეც გავიტანოთ. ამით გლეხიც კმაყოფილი იქნება, მაგრამ კერძო მონოპოლისტური სისტემის არსებობამ შექმნა ის სისტემა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთეულ ადამიანებზე არის გათვლილი მოგება. აქაც ანალოგიური პირამიდაა, როგორც სადაზღვევო სისტემაში.

***— ბატონო ვიქტორ, სატელევიზიო სიუჟეტები გავიდა, სადაც თქვენი პარტიის ლიდერი ჰიბრიდული სიმინდის ცუდ მოსავალზე, პრაქტიკულად გლეხების მოსავლის გარეშე დარჩენაზე საუბრობდა. ხელისუფლება კი პირიქით, ჰიბრიდული სიმინდის მაღალ მოსავლიანობაზე, მეტიც, თითქოს ასობით ტონა ექსპორტზეც საუბრობს. სად არის სიმართლე?***

— სამწუხაროდ, საქართველო რაღაც ორპლანეტარული ქვეყანა გახდა. ტელევიზორს რომ ჩართავ, მიხეილ სააკაშვილის განათებულ, განახლებულ, პრობლემების გარეშე არსებულ საქართველოში ცხოვრობ. როდესაც ხალხთან შეხება გაქვს, ქუჩაში გამოდიხარ, ხედავ, რა ხდება. ადამიანებს შიმშილის პრობლემა აქვთ. შიმშილის პრობლემა საქართველოში არასდროს არ ყოფილა. მაშინაც კი, როდესაც ავბედითი 90-იანი წლების დასაწყისი იყო, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ უამრავი პრობლემა შეგვექმნა, მაგრამ ასე სოციალურად დაუცველი არ იყო ხალხი. მეტ-ნაკლებად რაღაც სისტემა მუშაობდა. თუ ადამიანი ავად გახდებოდა და საავადმყოფოში მივიდოდა, უფულობის გამო უკან არ გამოუშვებდნენ. დღეს ეს პრობლემა რეალობაა. არ ვიცი, რა სისტემის გამოგონება უნდოდათ ვერ გავიგე, მაგრამ ფაქტი ერთია, იქამდე მივედით, რომ აბსოლუტურად გაპარტახებულია ყველაფერი. მათ შორის ჯანდაცვაც და სოფელიც. სააკაშვილის მთავარი კოზირი და ბერკეტი არის „რუსთავი-2“ და „იმედი“.

***— პიარ-აქციები?***

— დიახ, პიარ-აქციები. შეიძლება ნორმალურ ხელისუფლებას ისეთ ურთულეს ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სოციალურად დაუცველი ხალხის თვალსაზრისით, ასობით მილიონობით ლარი კონცერტებში დაიხარჯოს? არ მინდა არანაირად დავაკნინო ხელოვნებისა და კულტურის როლი, მდიდარი ქვეყანა ვართ ამ მხრივ, მაგრამ პრიორიტეტები ხომ უნდა იყოს განსაზღვრული, რაღაც ბალანსი ხომ უნდა იყოს. თუნდაც, ენრიკე იგლესიასის ჩამოყვანასა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, თუნდაც დევნილების პრობლემის თვალსაზრისით. არ არსებობს ისეთი სფერო, რომელსაც არ შეხებოდნენ უარყოფითად. არ არსებობს ოჯახი, სადაც არ შესულიყვნენ და არ გაემწარებინათ. არ არსებობს ბიზნესი წვრილი, საშუალო თუ მსხვილი, რომელსაც არ შეხებოდნენ. თავიდან ბოლომდე მთელი ბიზნესი ხელისუფლების მიერ არის კონტროლირებადი. იქიდან ამოღებული ფული მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას ემსახურება. აღარაფერს ვამბობ იმ ძალადობაზე, რომელიც ქვეყნის უმაღლესი ჩინოვნიკების მიერ პირადად ხორციელდება.

***— მაგალითის დასახელება შეგიძლიათ?***

— მაგალითად, ბაჩო ახალაიას თემა. რამდენიმე დღის წინ თავდაცვის სამინისტროსთან აქცია გვქონდა, რომელიც შეეხებოდა ომის ვეტერანის სერგო თეთრაძის დაღუპვას. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა სახლიდან რატომ გამოიყვანეს, არავინ იცის. ბაჩო ახალაიას სამეგრელოდან თანამებრძოლი და თანამოაზრე მეგის ქარდავა შემოუერთდა და თავდაცვის სამინისტრო შეიძლება კიდევ უფრო სერიოზულ სადამსჯელო რაზმად გადაიქცეს. სერგო თეთრაძე სახლიდან გამოიყვანეს, გლდანის მე-7 საპყრობილეში წაიყვანეს და ცემით მოკლეს. მეუღლე ხმას ვერ იღებს.

***— თქვენ ამბობთ, რომ დაშინებულია?***

— დიახ, ეშინია. 15 წლის შვილი ჰყავთ და არ უნდა, რომ კიდევ რაიმე ზიანი მიადგეს ოჯახს. აი, ასეთი ქვეყანა შექმნა სააკაშვილმა. 30 ათასი პატიმარია საქართველოში, 300 ათასი პრობაციონერი, მილიონ 800 ათასი კი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობაა. ეს არის ავტოკრატული მმართველობის შედეგი. სააკაშვილის თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს, ან სოფელში ჩავა ან ორმხრივი შეხვედრა ექნება, საერთაშორისო ფორმატში იმხელა მნიშვნელობას ენიჭება, რომ გეგონება ამით შენდება ქვეყანა. ეს არის ძალიან ცუდი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც ვიტყვი, კარგია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რომ იმართება ვარშავაში, სადაც შეხვედრები ხდება ორმხრივ და სხვადასხვა ფორმატში, რადგან დარწმუნებული ვარ საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ შორის პირველ რიგში ევროპული, ძალიან აქტიური იქნება და სწორ მესიჯებს მისცემენ სააკაშვილს. იმასთან დაკავშირებით, რომ მან 2012-2013 წლებში ქვეყანას მისცეს შანსი იმისთვის, რომ ნორმალური განვითარების გზას დავადგეთ, დემოკრატიულად განვითარების შანსი არ მოუსპოს ქვეყანას. ეს შანსი ჯერ კიდევ არსებობს, მიუხედავად ამ სირთულეებისა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლებაში მყოფებმა ძალიან ბევრი დანაშაულის გამო უნდა აგონ პასუხი, გარწმუნებთ, აგებენ კიდეც, მათ ჯერ კიდევ შერჩენიათ იმის შანსი, რომ მშვიდობიანად წავიდნენ და დაუთმონ საზოგადოებას ასპარეზი. სხვანაირი მმართველობა მათ არ შეუძლიათ. არც კომპეტენტურობა გააჩნიათ და არც პოლიტიკური ნება. ასეთი ურთულესი ვითარება არის დღეს ქვეყანაში.

## ლევან ვასაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს



რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ლევან ვასაძე საქართველოში 2013 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, — იუწყება რუსული მედია.

ლევან ვასაძის განცხადებით, ყველამ კარგად დაინახა, თუ რა შედეგები მოუტანა საქართველოს შევარდნაძისა და სოროსის მიერ ორგანიზებულმა „ვარდების რევოლუციამ“.

— რისი დანგრევაც შევარდნაძემ ათეულობით წლების განმავლობაში ვერ მოახერხა, მისმა შთამომავლებმა ეს რამდენიმე წელში გააკეთეს. ჩვენი ხელისუფლება იმდენად გათავხედდა, რომ ეკლესიების ჩუქება ჩვენი ისტორიული მტრებისთვის დაიწყო, — აღნიშნა ვასაძემ.

მისი თქმით, როდესაც ის „დამცირებულ ქვეყანას“ ხედავს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უჩნდება.

— მე უნდა ვუხელმძღვანელო ჩემ მართლმადიდებელ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში შემონახულ სამშობლოს, ენას და სარწმუნოებას დაკარგავს, — აცხადებს ვასაძე.

ლევან ვასაძე მოსკოვში 90-იანი წლებიდან ცხოვრობს. ის რუსეთის მოქალაქეა.

მედიანიუსი

## სოფლებში არსებულ უსახელო ქუჩებს სახელები მიენიჭათ

პარასკევს თბილისის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა დედაქალაქის სამ რაიონში — ისანი-სამგორში, გლდან-ნაძალადევსა და დიდგორის რაიონში არსებულ 421 ქუჩისათვის სახელების მინიჭების შესახებ იმსჯელეს.

როგორც საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ლაშა იმედაშვილმა განაცხადა, საკითხი საკრებულოს სხდომამდე ჯერ შესაბამის კომისიაში იქნა განხილული და მხოლოდ ამის შემდეგ მომზადდა სხდომაზე გასატანად.

— საკრებულოს სხდომაზე თბილისთან შემოერთებულ სოფლებსა და დაბებში არსებულ იმ ქუჩებსა და ჩიხებს, რომლებსაც ამ დრომდე სახელწოდება არ გააჩნდათ, სახელები მიენიჭათ, — განაცხადა იმედაშვილმა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით და მოსახლეობის თხოვნით, ახალი სახელები მიენიჭათ დიდგორის რაიონში, სოფელ ოქროყანაში, სოფელ წავკისში, სოფელ შინდისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში, სოფელ ახალდაბაში, დაბა წყნეთსა და ბეთანიაში მდებარე უსახელო ქუჩებს.

გარდა ამისა, სახელწოდება მიენიჭათ ისანსამგორის რაიონში სოფელ წინუბანში, სოფელ ფონიჭალაში, სოფელ ნასაგურში, პატარა ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში, დიდ ლილოსა და გლდანი-ნაძალადევის რაიონში გიორგიწმინდას დასახლებაში და სოფელ გლდანში არსებულ ქუჩებს.

მედიანიუსი

## დიდი ბრიტანეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს



დიდი ბრიტანეთი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს. „როსბალტის“ ინფორმაციით, ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ, ვარშავაში მიმდინარე „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ სამიტზე გააკეთა.

გამოცემის ცნობით, დავით ბაქრაძემ სამიტზე ხაზი გაუსვა რამდენიმე სიგნალს, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის პოლიტიკური კუთხით და ამ მხრივ გამოყო ბრიტანეთის ვიცე-პრემიერის, ნიკ კლეგის განცხადება, რომლის თანახმადაც, ბრიტანეთი „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროგრამის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს.

— ჩემს მეხსიერებაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა ასე პირდაპირ დაუჭირა მხარი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, — განაცხადა ბაქრაძემ.

მედიანიუსი

# როგორ აწამებენ საქართველოში

შალვა ჯოხაძე

ქართველი სამართალდამცავების წამების მეთოდები საყოველთაოდაა განთქმული. ერთ-ერთი ასეთი მეთოდით რამდენიმე დღის წინ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი მოკლეს. „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის, თეა წულუკიანის თქმით, სერგო თეთრაძეს თავზე ცელოფანის პარკი ჩამოაცვეს და ისე სცემეს უმოწყალოდ. თუკი მისი გარდაცვალების მიზეზი გულის შეტევაა, როგორც ოფიციალური უწყებები აცხადებენ, ეს ალბათ სწორედ ასეთმა წამებამ გამოიწვია.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრმა „ემპათიამ“ იურიდიული და სამედიცინო სფეროს ექსპერტები შეკრიბა და საფუძველი ჩაუყარა ღია დისკუსიას საქართველოში წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწრაფი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიების პრობლემების შესახებ. ორგანიზაციის ინფორმაციით, ეს პრობლემები დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოში შესული სარჩელების რაოდენობითა და წაგებული საქმეებით. „ემპათიის“ ხელმძღვანელ მარიამ ჯიშკარიანის თქმით, დიდი ხანია საჭიროა, რომ ასეთი ტიპის ღია დისკუსია დაიწყოს, ვინაიდან სფეროში მართლაც მრავალი პრობლემაა.

წამების შესახებ ჩვენი ქვეყნიდან სტრასბურგში გაგზავნილ საქმეებზე „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი თეა წულუკიანი დეტალურად საუბრობს. წულუკიანი წლების განმავლობაში მუშაობდა ევროსასამართლოში და მას ამ თემაზე მრავალი ინფორმაცია აქვს.

წულუკიანი აცხადებს, რომ, წინა წლებთან შედარებით, საქართველოდან შესულ საქმეებზე შარშან 100%-იანი მატება დაფიქსირდა, წელს კი გაცილებით მძიმე ვითარებაა და 150%-ით მოიმატებს. ამჟამად სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან შესული 3000 საქმე ელის მსვლელობას. მათ შორის სისხლის სამართლის საქმეები ჭარბობს და პატიმრების მიერ გაგზავნილ სარჩელებში წამების ფაქტები თითქმის ყველგან ფიგურირებს.




**სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი 3999 საქმე დაგროვდა**

თეა წულუკიანი რამდენიმე წლის წინანდელ საქმეებსაც იხსენებს, რომლებმაც უშუალოდ მის ხელში გაიარა სტრასბურგში. მაგალითად, დანელია საქართველოს წინააღმდეგ. ეს რიგითი ყაჩაღობის საქმე იყო, რომელშიც დაკავებული ისანი-სამგორის პოლიციას მისგან ჩვენებების წამებით მიღებაში ადანაშაულებდა. იყო ასევე დავთიანი საქართველოს წინააღმდეგ. ამ საქმეს პოლიტიკასთანაც ჰქონდა კავშირი. ეს იყო ბადრაგი, რომელსაც გვირაბით გურამ აბსანძე გაექცა. დავთიანს სამსახურებრივი გულგრილობის მუხლი წაუყენეს. დავთიანი ისეთი მეთოდით აწამეს, როგორიც ფეხის გულებზე წყლით სავსე ბოთლით ცემაა. ამის მიუხედავად, მან არ აღიარა დანაშაული, რადგანაც ამ საქმესთან არ იყო კავშირში. ორივე ფაქტთან დაკავშირებით, როგორც დანელიას, ისევე დავთიანის შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლომ სრულოყოფილი დადგენილება ვერ გამოიტანა. ამის მიზეზი ისაა, რომ თავად ქვეყნის შიგნით დაიფარა სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაული, კვალი წაიშალა. წულუკიანის განცხადებით, პრინციპული საკითხია, რომ ქვეყნის შიგნით მოხდეს გამოძიება. სტრასბურგის სასამართლო არ არის საგამოძიებო ორგანო, რომ ის გამოძიება ჩაატაროს, რაც, წესით, ჩვენს სამართალდამცავებს უნდა განეხორციელებინათ.

**თეა წულუკიანი:**

— არის ისეთი საქმეებიც, სადაც ყველაფერი პატიმრის სიკვდილით არ მთავრდება, მაგრამ წამების ფაქტები დასტურდება. მაგალითად, გიამბობთ საქმეზე ნიკოლოზ მახარაძე საქართველოს წინააღმდეგ. ამ საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოცხადებული. ნიკოლოზ მახარაძე კანონიერი ქურდი გახლდათ, რომლის ექსტრადირებაც რუსეთიდან მოხდა. მას სასჯელი კი მიუსაჯეს, მაგრამ, როგორც კანონიერ ქურდს, დამატებითი სანქციებიც დაუწესეს. ამ ადამიანს ტუბერკულოზის მწვავე ფორმა ჰქონდა. ის გადატვირთულ საკანში იმყოფებოდა. ამის გამო პატიმარს მორიგეობით უწევდა ძილი და ფეხზე გადაიტანა მთელი ის ტანჯვა, რაც მის დაავადებას ახლდა თან. ამასთან ერთად, აღვნიშნავ, რომ ტუბერკულოზიანი პატიმრების წოლისაგან საწოლის თეთრეული მუდმივად სველი იყო და ოჯახის წევრებს მისი გამოცვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

მახარაძის საქმე სტრასბურგში აღმოჩნდა, საიდანაც პატიმრის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს. სახელმწიფომ ამაზე უარი განაცხადა, რაც ოფიციალურ უწყებებში გასაჩივრდა და ამის შემდეგ პატიმრის მხარესა და სახელმწიფოს შორის ჭიდაობა დაიწყო. სამწუხაროდ, ამ მკლავჭიდში ეს ადამიანი გარდაიცვალა.

კარგია, რომ გარდაცვლილი პატიმრის მეუღლემ საქმის მსვლელობა განაგრძო. სტრასბურგის სასამართლოში მახარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს განხილვა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი საქმეა.

თეა წულუკიანის ინფორმაციით, წამების კვალი იკვეთება კიდევ ერთი გარდაცვლილი პატიმრის, ცინცაბაძის საქმეშიც. სავარაუდოდ, ის ხონის კოლონიაში პატიმრებმა „ობშიაკის“ თანხის გამო მოკლეს და მერე ჩამოკიდეს, თითქოს თავი ჩამოიხრჩო.

თეა წულუკიანი:

— ცინცაბაძის საქმეზე უმნიშვნელოვანესი რამ თქვა სტრასბურგის სასამართლომ. როცა პატიმარი გარდაიცვლება, ისე აცლიან ორგანოებს და ისე გზავნიან ექსპერტიზაზე, რომ ოჯახმა ამის შესახებ არაფერი იცის. სტრასბურგში ეს მკაცრად დაგმეს, დაუშვებელია, ვინმე შეეხოს პატიმრის გვამს და ოჯახმა არ მიიღოს მონაწილეობა გაკვეთაში. როცა გარდაცვლილი პატიმარი ხონის კოლონიის საკუჭნაოში თოკიდან ჩამოხსნეს, ჩატარდა არა მხოლოდ ექსპერტიზა, არამედ, გამომძიებლის მისვლამდე შემთხვევის ადგილი მიალაგეს, პატიმარი გადაასვენეს, გაჩხრიკეს და ა.შ. იმედი მაქვს, ამ ხელისუფლების პერიოდში თუ მოგვიანებით ეს საქმე თავის ლოგიკურ დასასრულამდე მივა და სახელმწიფოს პასუხისგება მოუწევს.

წულუკიანი რამაზ პატარაიას საქმეზეც საუბრობს, რომელიც ქუთაისის ციხეში კარცერში შეასახლეს, სადაც მან თვითდაზიანებები მიიყენა. ამის მერე მას ციხის ორმა თანამშრომელმა სცემა. მნიშვნელოვანია ექთნის პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელმაც დაინახა, რომ ამ პატიმარს ფეხები პარალიზებული ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ნემსის გაკეთებით შემოიფარგლა, სხვა ზომებისთვის არ მიუმართავს. წულუკიანის თქმით, ექთანი და დაბალი რანგის სხვა თანამშრომლები რომ იქცეოდნენ სათანადოდ, ციხის შიგნით ამდენი პრობლემა არ იქნებოდა, თუმცა, ეს უკვე სხვა თემაა. საბოლოოდ, ამ საქმეში სახალხო დამცველი ჩაერია, ალაპარაკდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, პატიმრის ადვოკატმა სტრასბურგს მიმართა და დღეისათვის პატიმრის წამებაში მონაწილე ბადრაგის თანამშრომლები წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

თეა წულუკიანი:

— კიდევ ერთი მძიმე ფაქტი, რომელიც, ალბათ, აუცილებლად მოხვდება სტრასბურგში, სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა. ვგულისხმობ სერგო თეთრაძის საქმეს, რომელიც ავღანეთის ომის მონაწილე გახლდათ, ის წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა, დაზვერვის სამსახურში მუშაობდა, თუმცა ამ დროისათვის პენსიაზე იყო გასული. 17 სექტემბერს მას თავს დაესხა თავდაცვის სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახური და დააპატიმრა. მას შინ გეოგრაფიული რუკები უპოვეს და ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. 6 დღეში მის ოჯახს გლდანის ციხიდან დაურეკეს, გვამი წაიღეთო. ეს ადამიანი 2 დღის წინ დაკრძალეს.

როგორც ირკვევა, მასთან კონტრდაზვერვა „მუშაობდა“, დაკავებულს თავზე ცელოფანის პარკი ჩამოაცვეს და ისე ცემეს. როცა გლდანის ციხეში შეასახლეს, კარანტინში ჩასვეს.

ოჯახმა რომ წამოასვენა, აღმოჩნდა, რომ მაკიაჟის ქვეშ დაზიანებები აღენიშნებოდა. გვამი ამ შემთხვევაშიც გაკვეთილი იყო და ექსპერტიზა — ჩატარებული. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შიშის ფაქტორთან. თეთრაძის ოჯახი საჯაროდ ერთს ამბობს, პირად საუბარში კი — მეორეს. ამ ფაქტის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტროში გამოძიება მიმდინარეობს, სადაც ინფარქტზე საუბრობენ. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ინფარქტი სწორედაც პატიმარზე ასეთი ზემოქმედების შედეგად დამდგარიყო.

იმედია, გარდაცვლილის ოჯახი საბოლოოდ სწორ გზას დაადგება და ეს საქმეც მოხვდება სტრასბურგის სასამართლოში.

# ისრაელი ევროსაბჭოდან საქართველოს გაძევებას მოითხოვს

შალვა ჯოხაძე

**დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენ ზეევ ფრენკელს შუნტირების ოპერაცია ჩაუტარდა. მის მიმართ ციხეში განხორციელებული წამების ფაქტის გამო, შესაძლოა, საქართველოს ევროსაბჭო დაატოვებინონ. ამ ინფორმაციაზე და ზოგადად, ებრაელი ბიზნესმენების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ისრაელის საელჩო პოზიციას აუცილებლად დააფიქსირებს. ებრაული ახალი წლის დღესასწაულის გასვლის შემდეგ, როგორც კი ისრაელის საელჩო მუშაობას განაახლებს, ამ საქმეზე ოფიციალური კომენტარიც გაკეთდება. სავარაუდოდ, ეს ორშაბათსვე მოხერხდება.**



დაკავებულ ებრაელ ბიზნესმენ ზეევ ფრენკელს შუნტირების ოპერაცია ჩაუტარდა. მის მიმართ ციხეში განხორციელებული წამების ფაქტის გამო, შესაძლოა, საქართველოს ევროსაბჭო დაატოვებინონ. ამ ინფორმაციაზე და ზოგადად, ებრაელი ბიზნესმენების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ისრაელის საელჩო პოზიციას აუცილებლად დააფიქსირებს. ებრაული ახალი წლის დღესასწაულის გასვლის შემდეგ, როგორც კი ისრაელის საელჩო მუშაობას განაახლებს, ამ საქმეზე ოფიციალური კომენტარიც გაკეთდება. სავარაუდოდ, ეს ორშაბათსვე მოხერხდება.

საქმე ისაა, რომ ისრაელის ავტორიტეტულმა ყოველდღიურმა გაზეთმა „მაარივიმ“ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაბეჭდა. ამ გამოცემაში საუბარია იმაზე, რომ ისრაელის მთავრობა საქართველოს ხელისუფლებაზე მასირებული დიპლომატიური ზეწოლის დაწყებას გეგმავს და ეცდება, ჩვენი ქვეყანა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის გამო ევროპის საბჭოდან გარიცხონ.

ადგილობრივი ჩინოსნებისგან მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის გაძლიერების თხოვნით ებრაელი ბიზნესმენების რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ოჯახის წევრებმა ისრაელის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართეს. ეს ინფორმაცია რომ სიმართლეს შეესაბამება, ბიზნესმენების ადვოკატის არჩილ კბილაშვილის სიტყვებითაც დასტურდება. ადვოკატს აქვს ინფორმაცია, რომ მართლაც, ბიზნესმენების ოჯახის წევრები ისრაელის მთავრობის წევრებს ხვდებიან. ადვოკატმა საკუთარი კლიენტებისგან შეიტყო, რომ ასეთი შეხვედრები რეგულარული ხასიათისაა. თუმცა, კბილაშვილს არ აქვს ინფორმაცია, კონკრეტულად რომელ ჩინოსნებთან ურთიერთობენ ეს ადამიანები. აღსანიშნავია ისიც, რომ დაკავებულთა ოჯახის წევრები ჩვენი ქვეყნის მთავრობასთან კონტაქტს საერთოდ არ ცდილობენ, რადგან იციან, ეს შედეგს მაინც არ გამოიღებს.

ფრენკელი საავადმყოფოში იმის გამო მოხვდა, რომ ინფარქტი მიიღო. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ფრენკელს ციხეში სპეციალური მედიკამენტი არ მისცეს.

„13 სექტემბრამდე ფრენკელი ქსნის №15 დაწესებულებაში იმყოფებოდა, 13-ში იგი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გეგუთის ციხეში გადაიყვანეს, ხოლო მისი წამლები ქსნის ციხეში დარჩა. 14 სექტემბერს პატიმარს, რომელსაც ციხის ადმინისტრაცია აუცილებელ მედიკამენტებს არ აწვდიდა, წამლები ჩვენ შევუგზავნეთ, მაგრამ მათ ადრესატამდე ვერ მიაღწიეს. 17 სექტემბერს წამლები ისევ შევაგზავნეთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იგივე განმეორდა. შედეგად ფრენკელმა, რომელსაც აუცილებელი მედიკამენტები ერთი კვირის განმავლობაში არ მიუღია, ინფარქტი გადაიტანა. ის ქუთაისის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ორი საათის განმავლობაში შუნტირება უტარდებოდა“, - აღნიშნა კბილაშვილმა.

ადვოკატის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ებრელ ბიზნესმენებზე რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელზე ციხეში ზეწოლას ჰქონდა ადგილი, რაც ამ დროისთვის შეწყდა.

ოფიციალური ინფორმაციით, ქართველმა სამართალდამცველებმა ებრაელი ბიზნესმენები ქრთამის შეთავაზების ფაქტზე გასულ წელს დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, ბიზნესმენები ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ავთანდილ ხარაიძეს 7 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ იმაში, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაერწმუნებინა, არ გაესაჩივრებინათ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ქართული მხარისათვის ფუქსისა და ფრენკელის კუთვნილი კომპანია „ტრამექსის“ სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე. თავის მხრივ, ხარაიძემ აღნიშნული შეთავაზების შესახებ პროკურატურა საქმის კურსში ჩააყენა, რის შემდეგაც ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ოპერაცია დაიგეგმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ რონი ფუქსს თავისუფლების 7 წლით აღკვეთა მიუსაჯა, ზეევ ფრენკელს კი - 6 წლითა და 6 თვით. გარდა ამისა, მოსამართლე ფუხაშვილმა ფუქსს საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 000 ლარის გადახდა დააკისრა, ფრენკელს კი - 100 000 ლარის. პირველი ისტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. საქმე ამ დროისთვის უზენაეს სასამართლოშია გასაჩივრებული. პარალელურად მზადდება სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვისაც. თავის დროზე, ფუქსისა და ფრენკელის ოჯახის წევრებმა პრეზიდენტ სააკაშვილს მათი შეწყალების თხოვნით მიმართეს. დაკავებულების შვილები მშობლების გათავისუფლებას მათი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვდნენ. განცხადებით მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციას 20 აპრილს მიმართეს.

თეა მარხვაი ე

# საქართველოს ხელისუფლებას პუტინის გაპრეზიდენტება აწყობს

## რა მოლოდინი აქვს დასავლეთს

**დასავლური მედია, ქართველი პოლიტიკოსები და ნათელმხილველები ბოლო 2 წლის განმავლობაში ამტკიცებდნენ, რომ პუტინი და მედვედევი ერთმანეთს დაჭამდნენ. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი იმასაც ამტკიცებდა, რომ აგვისტოს ომის დროს საქართველოსთვის ომის გამოცხადებაზე ბრძანება არა მედვედევმა, არამედ პუტინმა გასცა.**

მედვედევის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ერთმა ცნობილმა ქართველმა ნათელმხილველმა ისიც იწინასწარმეტყველა, რომ მედვედევი თავს მოიქნევდა და პუტინს გაანადგურებდა. თუმცა, როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად!



ვლადიმერ პუტინი

რუსეთის პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, როგორც ჩანს, დაპირისპირება არც არასდროს ყოფილა. უშიშროების გამოცდილ მუშაკ პუტინს ეგლა აკლდა, პრეზიდენტად ისეთი კაცი დაესვა, რომელიც მას პრობლემებს შეუქმნიდა.

მედვედევმა პრემიერ პუტინის იმედები სრულად გაამართლა. მედვედევის წყალობით მომავალ წელს პრემიერი პრეზიდენტად იყრის კენჭს და გაიმარჯვებს კიდევაც.

რუსეთში ამ გადაწყვეტილებას ბევრი აღფრთოვანებით შეხვდა. დასავლური მედია და ექსპერტები კი გადაირივნენ. ბოლო ერთი კვირაა, ეს თემა აქტუალობას არ კარგავს. სენატორმა მაკეინმა პრემიერის ამ გადაწყვეტილებას შოკისმომგვრელი უწოდა.

პუტინის მესამედ მოსვლა ყურადღების მიღმა არც საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას დაუტოვებია. ხელისუფლება ზომიერად არის შეშფოთებული. ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება პუტინის დაბრუნებით აღფრთოვანებულია.

— სააკაშვილს ეს ძალიან გაუხარდება, რადგანაც მას სჭირდება მტრის ხატი. ეს იქნება პუტინი, — ამბობს ოპოზიცია.

დასავლური მედიის ნაწილმა რუსი ჩინოვნიკების გადაწყვეტილებას უწოდა კოშმარი, რომელიც არსად წასულა. მოსკოვური სიურპრიზი ყურადღების მიღმა არც ავტორიტეტულ გამოცემა „ნიუ იორკ ტაიმსს“ დაუტოვებია (სტატიის თარგმანს საიტი „ფორეიგნპრესი“ გვთავაზობს).

— ჩვენ ვიცით, რომ მომავალში პუტინი რუსეთის მმართველი იქნება. მაგრამ რომელი პუტინი იქნება ეს?

2001 წლის ტიპის რეფორმატორი, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფოს ლიდერის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზომი არის ის, თუ როგორ იცავს ის მოქალაქეებს რეკეტის, ბანდიტებისა და მექრთამეებისგან, თუ კაცი, რომელმაც მსოფლიო ლიდერებიდან პირველმა დაურეკა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს 11 სექტემბერს?

თუ წლის ჩხუბისთავი, რომელიც ფრანგ ჟურნალისტს, რომელმაც ჩეჩნეთის მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის არსებობა გააკრიტიკა, წინადაცვეთით დაემუქრა? თუ ქორი, რომელიც 2007 წელს წითელ მოედანზე იდგა და აშშ-ის პოლიტიკას მესამე რეიხის პოლიტიკას ადარებდა?

თუ მშვიდობისმყოფელი, რომელიც 2010 წელს კატინის ტყეში მუხლზე დაჩოქილი იდგა იმ 20 000 პოლონელი ოფიცრის ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში საიდუმლო პოლიციამ დახვრიტა? — კითხულობს ჟურნალისტი ელენ ბარი.

სტატიის ავტორის თქმით, 1999 წლის შემდეგ, როდესაც პუტინი საბჭოთა დაზვერვის სამსახურებიდან პრეზიდენტ ბორის ელცინის მემკვიდრედ შეარჩიეს, ის ბევრჯერ შეიცვალა.

— მისი ტრანსფორმაცია ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რუსეთს, რომელიც ხან ნავთობის ბუმის ტალღებზე ცურავდა და ურჩად და გამომწვევად აფიქსირებდა თავის ყოფნას მსოფლიო არენაზე, ხან კი გაურკვევლობის ჭაობში ფართხალებდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. საეჭვოა ის, რომ პუტინი, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ, იმ გზიდან მკვეთრად გადაუხვევს, რომელიც პრეზიდენტმა მედვედევმა გაკვალა, რომელმაც ის 2008 წელს შეცვალა და საქმიანი კლიმატის გაუმჯობესებას და უცხოელი ინვესტორების დამშვიდებას შეეცადა. თუმცა, პუტინს, როგორც ჩანს, გაუჭირდება იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც კრემლს ძალაუფლებას დააკარგვინებს. ასეთი რეფორმა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნაა, — ამბობს მარატ გელმანი, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში პუტინთან მუშაობდა და მისი მოკავშირე იყო, — წერს გამოცემა.

— ეს იოლი არ არის, რადგან მას იმის გადალახვა მოუწევს, რაც თავად შექმნა. საკუთარ თავთან ბრძოლა რთულია. ეს თითქოს სხვა, მაგრამ, იმავდროულად, ძველი პუტინია. მისი მმართველობის სტილი ვერტიკალია. ეს ის ერთადერთი მართვის სტილია, რომელიც მან იცის. უფრო რთული პროცესის მართვა, კონფლიქტური შეხედულებების გათვალისწინება მან მაინც ვერ ისწავლა, — თქვა გერმანმა, რომელიც მოსკოვში სამხატვრო გალერეის მფლობელია.

როგორც გამოცემა წერს, „ტანდემური“ მმართველობის დასაწყისში, რომელიც სამი წლის წინ დაიწყო, მედვედევმა მოდერნიზება საკუთარ პოლიტიკურ ბრენდად აქცია, მაშინ როდესაც პუტინი სტაბილურობის მხარდამჭერი იყო. თუმცა პუტინი, როგორც ჩანს, გზავნილებს ერთმანეთს უთავსებს. ორშაბათს, როდესაც არჩეული კანდიდატის რანგში ის სიტყვით პირველად გამოვიდა, ფედერალურ ორგანოებს ქაღალდის დოკუმენტაციიდან ელექტრონულ დოკუმენტაციაზე გადასვლა უბრძანა — კურიოზული განკარგულება იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც, როგორც მისი თანაშემწეები აცხადებენ, ინტერნეტით სარგებლობა დღემდე არ უყვარს.

პარასკევს, პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის გამოცხადების წინა დღეს, პუტინმა თქვა, რომ ჩინოვნიკებმა ყური უნდა დაუგდონ უფლებადამცველი ორგანიზაციების კრიტიკას. მის შენიშვნაში ერთგვარი უკმაყოფილება იგრძნობოდა, რადგან განაცხადა, რომ უფლებადამცველები არ მუშაობენ ისეთ პრობლემებზე, რომლებიც ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაზე აისახება, მაგალითად, ისეთ პირველად უფლებაზე, როგორიცაა ხელფასები. მაგრამ ამან უფრო რბილად გაიჟღერა, ვიდრე 2007 წლის განცხადებამ, როდესაც მან თქვა, რომ უფლებადამცველები ტურებივით დაძრწიან უცხოეთის საელჩოებთან.

— როგორც ჩანს, პუტინი მზადაა, თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს თანამშრომლობას დასავლეთევროპულ და ამერიკულ კომპანიებთან, რაზეც მოწმობს ექსონმობილთან აგვისტოში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ამ კომპანიას ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის რუსეთის ნაწილში ნავთობის საძიებო სამუშაოების ჩატარების უფლებას აძლევს, ხოლო შაბათს აბსოლუტურად ცხადი გახდა, რომ პუტინი შეერთებულ შტატებთან გადატვირთვის მომხრეა, პროექტის, რომელიც პირდაპირ მედვედევის სახელს უკავშირდება, — ვკითხულობთ სტატიაში.

სტატიის ავტორის თქმით, გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რამდენად ტოლერანტული იქნება პუტინი პლურალიზმის მიმართ.

— პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს მან ძალით მოიპოვა კონტროლი მისდამი კრიტიკულად განწყობილ სატელევიზიო სადგურებზე, რომლებიც აკრიტიკებდნენ მის გადაწყვეტილებას გუბერნატორების და სენატორების პირდაპირი არჩევნების გაუქმების შესახებ. ის აბსოლუტრად განსხვავებული ქვეყნის პრეზიდენტად ბრუნდება — სადაც მოსახლეობა ახალ ამბებს ინტერნეტით იგებს, სადაც დასასრულს უახლოვდება ცხოვრების დონის ზრდა ნავთობის ფასების ზრდის ხარჯზე და სადაც მმართველი პარტიის „ერთიანი რუსეთის“ პოპულარობა მცირდება.

— წარსულში ის მარწუხების მოჭერას იმ დროს იწყებდა, როდესაც საფრთხეს გრძნობდა, — აცხადებს მოსკოვის პოლიტიკური ინფორმაციის კვლევითი ცენტრის დირექტორი ალექსეი მუხინი.

მისივე თქმით, „პუტინი ლიბერალია. უბრალოდ, როგორც კი მის ირგვლივ სიტუაცია სახიფათო და დაძაბული ხდება, ის უმალ ავტორიტარად იქცევა. ეს თავდაცვითი რეაქციაა“.

— სინამდვილეში, პუტინის აზრით, რეფორმები და ავტორიტარიზმი ერთმანეთზეა გადაბმული, რომ მმართველობის ძლიერი ცენტრალიზებული სტილი, ცნობილი, როგორც „სახელისუფლებო ვერტიკალი“, აუცილებელია რეფორმების გატარებისთვის, — ამბობს ალექსეი მარკინი კიდევ ერთი კვლევითი ორგანიზაციიდან „პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრიდან“.

მისი თქმით, ადრეული პუტინი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ მეფის რუსეთის პრემიერ-მინისტრ პეტრე სტოლიპინს, რომელიც აქტიურად ატარებდა ისტორიულ მიწის რეფორმებს, მაგრამ, იმავდროულად, იმდენ თავის მოწინააღმდეგეს სჯიდა სიკვდილით, რომ სახრჩობელას „სტოლიპინის ჰალსტუხი“ შეარქვეს.

მარკინის თქმით, მეორე პუტინი 2003 წლით თარიღდება, როდესაც მან ნავთობმაგნატი მიხეილ ხოდორკოვსკი დააპატიმრა და გააძლიერა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. 2005 წელს პუტინმა დაიწყო სახალხო აჯანყებების პრევენციის სისტემის შექმნა, ისეთი აჯანყების, რომელმაც უკრაინა შეარყია.

მესამე პუტინი გაჩნდა 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ რუსეთს არ აქვს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ უნდა გაიხსნას გარე სამყაროს მიმართ და აითვისოს ახალი შესაძლებლობები. მეოთხე პუტინი, მარკინის აზრით, პოლიტიკური სტატუს-ქვოს შენარჩუნებას შეეცდება და, იმავდროულად, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას მხარს დაუჭერს.

— სინამდვილეში, ჩემი აზრით, ეს არის არა ოთხი პუტინი, არამედ ერთი ადამიანის ევოლუცია. ეს ადამიანის ევოლუციაა, რომელიც მოვიდა ერთი განცდით იმისა, თუ რა უნდა გაეკეთებინა და შემდეგ იგრძნო, რომ ძალაუფლების დაცვისთვის ეს არ ეყოფოდა, — ამბობს მარკინი.

ყველა შემთხვევაში, რუსეთის სახელისუფლებო ელიტის ლაბირინთებში ათი ან ოცი წლის გატარება თავისთავად გავლენას ახდენს ადამიანზე. ალექსანდრ რარი, რომელმაც პუტინის ბიოგრაფია დაწერა, იხსენებს იმას, თუ როგორ დაპატიჟა ის პრეზიდენტმა ექსპრომტად მისი მმართველობის დასაწყისში. რარი ყვება, რომ არყის მეორე ჭიქის დალევის შემდეგ ურთიერთობამ აბსოლუტურად ნორმალური საუბრის ხასიათი მიიღო. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო.

ახლა, რარის თქმით, „გამორიცხულია, ის ადამიანებს შეხვდეს მხოლოდ იმისთვის, რომ მათი მოსაზრება გაიგოს“.

— მას მსახურთა ბიზანტიური ამალა ახვევია, რომლებიც აქებენ და ადიდებენ მას, რომლებიც აქებენ თავიანთ ლიდერს, რათა პრივილეგიები და შეღავათები მიიღონ. ძალიან ძლიერი ხასიათია საჭირო იმისთვის, რომ ამას წინ აღუდგე, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთია. იმედი მაქვს, რომ ის საკუთარი სინდისით ამას გაუმკლავდება, — ამბობს რარი.

## იემენში ოსამა ბინ ლადენის მემკვიდრე მოკლეს



იემენის უშიშროების ძალებმა ოსამა ბინ ლდაენის მემკვიდრე და „ალ-ყაიდას“ ახალი ლიდერი ანვარ ალ-ავლაკი მოკლეს. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

როგორც ცნობილია, იემენის ლიდერი ალი აბდულა სალეჰი აშშ-ს ყოველთვის აფრთხილებდა, რომ მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაში იემენში ძალაუფლებას ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ყაიდა“ ჩაიგდებდა ხელში.

**მედიანიუსი**

## არასამთავრობოებს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები გააცნეს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი, მისი პირველი მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი არასამთავრობო სექტორს შეხვდნენ. მათ სტუმრებს საარჩენო კოდექსში შესატანი, პოლიტიკური შეთანხმებიდან გამომდინარე ცვლილებები გააცნეს.

კუბლაშვილის განცხადებით, მართალია, პროექტის განხილვა კომიტეტებში ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო სექტორი წინასწარ გაეცნოს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც საბოლოოდ ახალი კოდექსის სახით იქნება ფორმულირებული. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით, პარლამენტის წევრთა რიცხოვნობა 150-დან 190-მდე გაიზრდება, საიდანაც მაჟორიტარული სისტემით 83, ხოლო პროპორციული სისტემით 107 დეპუტატი აირჩევა. იზრდება საარჩევნო სუბიექტების შემოწირულობათა ზღვარიც. მისი მოცულობა ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის, ინდივუიდუალური მეწარმისათვის 60 000, ხოლო იურიდიული პირებისათვის 200 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ერთ-ერთი ცვლილებით, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერს გადალახავს, საარჩევნო კამპანიის ხარჯის დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად 1 მილიონ ლარს მიიღებს. აქედან სატელევიზიო რეკლამის ხარჯის დასაფარად 300 000 ლარი იქნება გათვალისწინებული.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიები არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას ყოველ საარჩევნო უბანზე 50, ხოლო ყოველ საარჩევნო ოლქზე 100 ლარის ოდენობით მიიღებენ.

ასევე დგინდება ზედა ზღვარი გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის უფლების მქონე პირთათვის. კერძოდ, მათი რიცხოვნობა შესაბამისი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა 3 პროცენტს არ უნდა აჭარბებდეს.

**მედიანიუსი**

## „ქართულმა პარტიამ“ ვერა ქობალიას სასამართლოში უჩივლა



„ქართულმა პარტიამ“ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასამართლოში უჩივლა.

შესაბამისი ადმინისტრაციული სარჩელით პარტიამ სასამართლოს დღეს მიმართა.

როგორც „პირველს“ „ქართულ პარტიაში“ განუმარტეს, ეს ნაბიჯი „ვერა ქობალიას უწყების უკანონო ქმედებამ განაპირობა, რაც სატელევიზიო ანძის გასხვისებასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის დამალვაში გამოიხატა“.

მათივე განმარტებით, წერილობით შეკითხვაზე, „კონკრეტულად რა ქონება გადაეცა კომპანია „გოლდენ-კომს“ მართვის უფლებით და რა უფლებებითა და ვალდებულებებით არის დატვირთული ეს ქონება?, პარტიამ სამინისტროსგან პასუხი ვერ მიიღო.

— „ქართული პარტია„ სახელმწიფო უწყებების მხრიდან მსგავს უკანონო ქმედებებს სამართლებრივი რეაგირების გარეშე არ დატოვებს. ვინაიდან ხელისუფლებამ საჯარო ინფორმაციის დამალვის პრაქტიკა დანერგა, ყოველ ასეთ ქმედებას ჩვენ ადეკვატურად ვუპასუხებთ, — განაცხადა სარჩელის შეტანისას ქართული პარტიის„ პრეს-სპიკერმა ირაკლი კორძაიამ.

**პირველი**

ეკა ირემაშვილი

# თამუნა ამონაშვილი: „პატარა საქმეებთან ჭიდაობა არ მიყვარს“

**ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მომღერალი თამუნა ამონაშვილი ისევ თავის ერთგულ მსმენელს უბრუნდება, თუმცა ამჯერად არა თბილისში. მისი საკონცერტო ტურნე 5 ოქტომბრიდან კახეთში იწყება და მთელ საქართველოს მოიცავს.**

როგორც მომღერალი ამბობს, ტურნეს დასაწყებად კახეთი იმის გამო შეარჩია, რომ მისი მშობლიური კუთხეა და მთელი მისი ბავშვობა სწორედ კახეთთან არის დაკავშირებული. კახელები თამუნა ამონაშვილს უკვე დიდი ინტერესით ელოდებიან და იმ პოპულარულ სიმღერებთან ერთად მისი ცხოვრების ბედნიერი წუთების გასახსენებლადაც მზად არიან.

როგორც თამუნამ გვითხრა, დაგეგმილი კონცერტებიდან ერთი საქველმოქმედოა — კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად კახეთში მშენებარე სამების ტაძარს გადაერიცხება.

შემოქმედებითი პაუზის დასრულების გარდა, მომღერლის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა — 15-წლიანი ლოდინის შემდეგ თამუნას საკუთარი სახლი აქვს. როგორც თავად ამბობს, ხუთ ბინათმშენებლობაში ჩადებული თანხა უმისამართოდ დაკარგა, თუმცა, იმედს არ კარგავს, რომ ყველაფერი მისი და იმ ადამიანების სასიკეთოდ გადაწყდება, ვინც ამ საქმეში დიდი ზარალი ნახა.

თამუნა ყიფშიძეზე ე.წ. ვარსკვლავების სახლში უკვე ცხოვრობს. თითოეული დეტალი მისი გემოვნებით არის გაკეთებული. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლები სრულად ჯერ არ შესახლებულან, მომღერალს უკვე დაუმეზობლდნენ დავით დოიაშვილი, ნიკა ლომიძე, მამუკა ღლონტი. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსი ჯერ სრულყოფილად არ არის დამთავრებული და სადარბაზო თუ გარე ფასადი საშინლად მოუწესრიგებელია, თამუნა მაინც ბედნიერია, რომ საკუთარი ჭერი აქვს.




რაც შეეხება შემოქმედებას, თამუნა გულახდილად ამბობს, რომ არანაირი ინტერესი არ აქვს, თბილისში კონცერტი ჩაატაროს, რადგან დღევანდელ თბილისში ამის პერსპექტივას ვერ ხედავს.

*თამუნა ამონაშვილი:*

— საქართველოში საკონცერტო ტურნეს ვიწყებ. პირველ რიგში კახეთის პატარ-პატარა ქალაქებში ჩავდივარ. თელავის გარდა, დარბაზი სადაც არის, კონცერტები ყველგან იქნება. შეიძლება, ორი მომღერალი — თაკო მელიქიშვილი და ქეთი გომართელი ჩაერთონ ჩემს კონცერტში. შესვენების პერიოდში დახმარებას გამიწევენ. კონცერტი იქაური ხალხური ცეკვის ანსამბლით გაიხსნება.

***— ვისი ინიციატივით ეწყობა თქვენი კონცერტები კახეთში?***

— პირველი რიგში ეს ხალხის მოთხოვნით არის განპირობებული. დიდი ხანია არ ვყოფილვარ რეგიონებში. ამ ზაფხულს პატარა კონცერტებში ვიღებდი მონაწილეობას და მსმენელისგან დიდი სიყვარული და სითბო, მონატრება და ნოსტალგია ვიგრძენი. გადავწყვიტე, მოვიარო საქართველოს რეგიონები.

***— ბილეთები უკვე იყიდება?***

— კი, ბილეთები თითქმის უკვე გაყიდულია. ამ კონცერტების დაგეგმვა მეც გამიხარდა, იმიტომ რომ ვგიჟდები კახეთზე, ისე მიყვარს.

***— საკონცერტო ტურნეს კახეთიდან რატომ იწყებთ?***

— იმიტომ რომ მთელი ბავშვობა იქ მაქვს გატარებული. სკოლა რომ მთავრდებოდა, მიხაროდა, რომ ზაფხულის არდადეგებზე კახეთში მივდიოდი. წარმოშობით იქიდან ვარ, ნათესავები იქ მყავს. ბავშვობაც იქ მაქვს გატარებული. შენს სისხლს რომ გრძნობ, ასეთი რამ მემართება, როცა კახეთში ჩავდივარ. სუნიც კი ბავშვობას მაგონებს და ორგანიზმზე წამალივით მელამუნება. იცი, როგორ არის ნათქვამი? სადაც ბავშვობას გაატარებ, დიდობაში თუ რაღაც გაწუხებს და იქ ჩახვალ, ის ჰაერი საკურნებელიაო.

***— საქართველოს მოფერებას მშობლიური კუთხით იწყებთ?***

— კი. დასავლეთშიც მაქვს დაგეგმილი რამდენიმე კონცერტი.

***— ბილეთი ხელმისაწვდომია?***

— დიდ ფასს არ ვადებთ ბილეთს. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ისეთ ფასს ვადებთ, რომ აბსოლუტურად ყველასთვის ხელმისაწვდომია, თუმცა, ისეთი ფასია, რომ ჩვენი შრომაც დაფასდეს. საშუალო ზღვარი მოვნახეთ და პრეტენზია არავის გამოუხატავს.

***— საკონცერტო პროგრამა განაახლეთ?***

— არ განმიახლებია საკონცერტო პროგრამა. ის განახლება, რასაც უკვე ახლა ვმღერი, სალონურ ჯაზს და ფრანგულ სიმღერებს ვგულისხმობ, ამ კონცერტებზე არ გამომადგება. ჯაზი გაუმართლებელია რეგიონებში. მე ვუყვარვარ და ნოსტალგია აქვთ ადამიანებს ჩემი ძველი სიმღერებისადმი, თუმცა სულ მთლად ძველ სიმღერებზე არ მაქვს ლაპარაკი. იმ სიმღერებით მოვენატრე მსმენელს, რითიც პოპულარული ვიყავი, რითიც შევუყვარდი. თითქმის რასაც ვაკეთებდი და ვმღეროდი, ყველა ჰიტდებოდა. ბევრი კარგი სიმღერა მაქვს გაკეთებული. ბევრი სიმღერაა საიმისოდ, რომ ადამიანს გაახსენდეს ის ლამაზი წლები და პერიოდი, რაც ამა თუ იმ სიმღერასთან არის დაკავშირებული. ძველს თუკი სადმე ვიმღერებ, არ არსებობს, ვინმე არ მოვიდეს და არ მითხრას, გამახსენდა ჩემი ლამაზი ისტორიებიო. ამას წინათ თიანეთში გვქონდა კონცერტი და ვინც გააკეთა ჩვენი ღონისძიება, ყველა ერთხმად მოვიდა, ჩემზე ცოტა პატარები იყვნენ და მთხოვეს, თუ შეიძლება, ძალიან გვინდა ის სიმღერა, რომელიც ჩვენს ულამაზეს წლებს გვახსენებსო. ნატო გელაშვილის სიმღერა რომ არის „ისევე მენატრები, ისევე მაგონდები“, ამას გულისხმობდნენ. ასეთია ხელოვანის ბედი — ადამიანებისგან მოდის სითბო და სიყვარული, რაც ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარია.

***— თუ კახელებმა ჯაზი ითხოვეს, არ უმღერებთ?***

— თუ მთხოვეს, რატომაც არ ვუმღერებ, მაგრამ ეს რესტორანი არ არის, რომ დარბაზიდან მოითხოვონ და ვიმღერო, მაგრამ, თუ გულით მოისურვებენ, უარს არ ვიტყვი. უბრალოდ, ამ კონცერტის ბილეთები უფრო სკოლის მოსწავლეებზე და ახალგაზრდობაზე იყიდება, ამიტომ ისინი უფრო პაპსას უსმენენ და ჯაზი არ არის მათთვის აქტუალური.

***— თამუნა, შემოქმედებაში დიდი პაუზა გამოგივიდათ?***

— კარგია, როცა სულ ახსოვხარ მსმენელს. 16 წლიდან სცენაზე ვარ. ეს ძალიან დიდი პერიოდია. პოპულარობას არ ვაგდებდი, ყველა პერიოდში აქტიური ვიყავი, მაგრამ არა მომაბეზრებელი. დავისვენებდი, რაღაც პერიოდის მერე სიმღერას გავაკეთებდი, მერე ისევ დავისვენებდი, მერე კლიპს გადავიღებდი. ვცდილობდი, არ გადამეტვირთა მაყურებელი. თვითონაც ასე ვარ — ძალიან ბევრჯერ რომ ვუყურებ ერთსა და იმავე სახეს, პოლიტიკოსი იქნება თუ მომღერალი, საშინლად მბეზრდება. სულ რომ ფანტასტიკური რამე გააკეთოს, უკვე აღარ მაინტერესებს, საერთოდ აღარ მინდა კარგა ხანი მისი ნახვა. ეტყობა, ადამიანის ფსიქოლოგიაში ეს ყველაფერი შინაგანად დევს — ერთი და იგივე ძალიან მოსაბეზრებელია. შესვენება აუცილებლად უნდა გააკეთო ისეთმა ხელოვანმა, რომელსაც ხშირად აქვს ეკრანიზებული თავისი შემოქმედება. ეს უფრო შოუბიზნესს ეხება, თორემ თეატრში შესვენება არ გამოვა. თეატრში უწყვეტი მუშაობაა საჭირო.

***— კახეთის შემდეგ სად ჩახვალთ?***

— ამ ეტაპზე მოლაპარაკებები მიდის, ამიტომ ახლა ვერაფერს ვიტყვი. უფრო დასავლეთისკენ მინდა კონცერტები ჩავატარო. სამ-ოთხ დიდ ქალაქზეა ლაპარაკი. ნოემბერში იწყება „ივერიასთან“ ერთად კონცერტები. ძველი სპექტაკლებიდან, ცნობილი მიუზიკლებიდან გვინდა კონცერტი შევკრათ. 10 კონცერტი დაიგეგმება კახეთშიც და დასავლეთშიც.

***— ახლა მარტო იმღერებთ?***

— კი. მარტო მე გამოვდივარ. კახეთში ჩემი კონცერტია.

***— თბილისში როდის ჩაატარებთ კონცერტს?***

— თბილისში სხვანაირი სიტუაციაა. არავის არაფერი აინტერესებს. სიმართლე რომ ვთქვა, მე თვითონაც არ მაინტერესებს ჩემი თავი თბილისში. რა უნდა გავაკეთო, ან სად? თუ რამე სამთავრობო გაკეთდება, ისიც სამი მომღერალი გამოდის. ჩემი კოლეგების აზრი ვიცი — იანვრის შემდეგ სცენაზე არ ვმდგარვართო. ახალ წელს რომ ჩატარდა კონცერტი, იმის შემდეგ არაფერი გაკეთებულა და არ მდგარან სცენაზე. ძალიან ცოდოა ქართული შოუბიზნესი. ცოდო ცოტა ისეთი სიტყვაა, მაგრამ კარგი გაგებით ვამბობ. ადამიანებმა, რომლებმაც რაღაც შექმნეს, აკეთეს, ჩადეს ენერგია, დღეს აღარავის ახსოვს. ყველა მომღერალს თავისი მსმენელი ჰყავს, ყველა მომღერალი ვიღაცას უყვარს, ყველა მომღერალს თავისი პატარა ნიშა და კრედო აქვს. გულდასაწყვეტია, რომ ასე უცბად გაქრა ეს ხალხი. ვინც თავს უშველა და ტელევიზიას შეაფარა თავი, ჩემთვის უკვე ისიც მოსაბეზრებელი გახდა. მომღერალმა უნდა იმღეროს, მსახიობმა უნდა იმსახიობოს და ექიმი უნდა იყოს ექიმი. აბა დაუკვირდით, კონკურენციაც აღარ არის. არანაირი ინტერესი არ არის, რომ ჯანსაღად გაეპაექრო შენს კოლეგას. თუ კეთდება რამე, ისევ ახლობელი თუ გაგიხსენებს. ისეთი მომენტი, როგორც ადრე იყო, იყავი მომღერალი, ცნობადი სახე და იმიტომ გეძახდნენ კონცერტებზე, აღარ არის. ახლა თუ დაგიძახებენ, ვიღაც ახლობელს გაახსენდები. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია წამოვიდა.

***— იქნებ, ეს თაობათა ცვლაა?***

— რა თქმა უნდა, თაობათა ცვლა უნდა იყოს. ხომ გაგიგიათ, „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსაო“. აუცილებლად უნდა ერთი წავიდეს, მეორე მოვიდეს, მაგრამ, ისე კი არ უნდა წავიდეს, რომ საერთოდ დაატოვებინო ყველაფერი და გააქრო. ყველა თავისებურად თავის ეპოქას ქმნის. იყოს ისიც და ესეც. დღევანდელი ახალგაზრდობა ერთ სიმღერას ჩაწერს და ოფოფებივით ზემოდან იყურებიან, რაც ძალიან სასაცილოა. გაიარონ იგივე გზა და მერე ილაპარაკონ. ასი მატარებლით ვერ დაეწევიან წინა თაობებს, განა იმიტომ, რომ ვერ შეძლებენ, შეიძლება, უფრო მეტი გააკეთონ, მაგრამ იმ წლებს ვერ დაეწევიან, ის წლები ამათ უკვე გაიარეს. ყველას წარმატებას და წინსვლას ვუსურვებ, მაგრამ ადამიანი, რომელიც შრომობს და თუნდაც ერთ ადამიანს მაინც უყვარს მისი მუსიკა და სიმღერა, უკვე ითვლება რაღაცის შემქმნელად და პოპის ერთ-ერთ წევრად. მინდა, ყველამ ზომიერების ფარგლებში ვიშრომოთ. არ მოვითხოვთ ზედმეტს არაფერს. მადლობა ღმერთს, რომ პატარა კონცერტებში ვიღებ მონაწილეობას, ახლა ტურნეა, მერე კიდევ მაქვს კონცერტები. ამ ეტაპზე ჩემი საქმით მუშაობა შემიძლია, თუმცა ამით არსებობა ნამდვილად შეუძლებელია.

***— სიმღერის გარდა რა იცით?***

— სიმღერის გარდა არაფერი შემიძლია. ჩემი პროფესია სიმღერაა, ამ წუთას არაფერი არ მაქვს და ეს არის ჩემი შემოსავლის ძირითადი წყარო.

***— დიზაინერობა გადაიფიქრეთ?***

— ამას ძალიან დიდი ფული უნდა. ამ სფეროში თანხა სულ უნდა ჩადო და ჩადო. სიმღერის დროს რაღაცას გააკეთებ და უფრო გიხდიან. დიზაინერობაში კი თანხა სულ უნდა ჩადო. ეს ისეთი ძვირი ბიზნესია, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, რთულია, რამე ამოიღო. თუ დაიწყებ, პატარა საქმით უნდა დაიწყო, მაგრამ ძალიან მაქსიმალისტი ვარ და პატარა საქმეებთან ჭიდაობა არ მიყვარს. თუ დავიწყებ, გემრიელად უნდა დავიწყო. წვრილ-წვრილად ყველაფრის დაწყება მიჭირს. ბინაც არ მინდოდა, ერთოთახიანი ან ოროთახიანი მქონოდა. შემეძლო პატარა ბინის ყიდვა, მაგრამ გრანდიოზული სახლი მინდოდა.

***— დიდხანს უცდიდით საკუთარ ჭერს?***

— სულ მინდოდა კარგი, ლამაზი და გრანდიოზული სახლი მქონოდა. ამისთვის ბევრი ვიწვალე, ხან ქირით ვიყავი, ხან ბინათმშენებლობაში ჩავდე ფული, ხუთ სახლში შევიტანე თანხა, ერთგან არ გამოვიდა, მეორეგანაც ვერ მივიღე სასურველი შედეგი. სასწაულ პერიოდში მოვხვდი. ზოგმა წამართვა, ზოგი გაიქცა. გაოგნებული დავრჩი. მადლობა უფალს, ბოლოს ყველაფერი გამოვიდა და დღეს საკუთარი ჭერი მაქვს. ამ სახლში რაც არის, ყველაფერი ჩემი გემოვნებით არის გაკეთებული. ეს სახლი ჩემი ნავსაყუდელია.

***— კიდევ რაში ხართ მაქსიმალისტი?***

— ყველაფერში. მანქანაზეც ასე ვარ. მინდა ძალიან კარგი, ისე რა მანქანა არ მინდა მყავდეს. ველოდები იმ პერიოდს, როცა თანხა ჩამივარდება და კარგს ვიყიდი. მაქსიმალისტი ვარ. ასე ვარ შემოქმედებაში. თუ რამეს ვაკეთებ, კარგი მინდა გავაკეთო. შეიძლება სიმღერა მერე გამოვიდეს ისე რა მოსასმენად, მაგრამ ჩემი გადასახედიდან მინდა, ყველაფერი იყოს საუკეთესო.

***— 15 წელი საკუთარი ჭერის ცდა ღირდა?***

— კი, ნამდვილად ღირდა. ოთხი სახლი გამიფუჭდა. შეტანილი ფულები შეჭამეს და არ ააშენეს.

***— არც პერსპექტივაში არ არის იმ სახლების აშენება?***

— დრო შეიცვალა, სახელმწიფო ეხმარება ასე თუ ისე იმ ადამიანებს, ვინც დაზარალდნენ და დიდი დანაკარგები აქვთ. ლაპარაკია, რომ შეიძლება ყველაფერი ჩვენ სასარგებლოდ დასრულდეს. მეშაყირებიან მეგობრები, ჯერ სულ არ გქონდა სახლი და ახლა ხუთი ერთად გექნებაო. ვშაყირობთ, ფეხს ფეხზე გადაიდებ და იტყვი, აბა, დღეს რომელ ვილაში დავისვენოო.

***— ვარსკვლავების ბინაში ხართ?***

— კი, ყიფშიძეზე ვარ, მაგრამ საშინლად მოუწესრიგებელია.

***— რას გულისხმობთ?***

— გარეთა ფასადი ჯერ არ არის დასრულებული, სადარბაზო არ არის დასრულებული. არ ვიცი, რა იქნება, ალბათ გაკეთდება, ასე არ დატოვებენ, მაგრამ ეს მსახიობები ყველა ერთმანეთს უყურებს, თუმცა მჯერა, ყველაფერი მოგვარდება.

***— უკვე შემოსახლდნენ მეზობლები?***

— ყველა ჯერ არა, მაგრამ თითო სართულზე თითო მოსახლე უკვე არის.

***— ვინ არიან თქვენი მეზობლები?***

— დავით დოიაშვილი უკვე გადმოვიდა, თეა გობეჯიშვილი და ნიკა ლომიძეც გადმოვიდნენ, მამუკა ღლონტიც უკვე ცხოვრობს. ჯერჯერობით ვერ ვეკონტაქტებით ერთმანეთს. ყველას თავისი საქმე აქვს, გვიან ბრუნდებიან სამსახურიდან.

***— იქნებ გრაფიკი გაქვთ განსაკუთრებული?***

— ყველა ნელ-ნელა გადმოვა და მერე ალბათ ერთ დიდ წვეულებას მოვაწყობთ.

***— ახალი სიმღერების ჩაწერას თუ აპირებთ?***

— როგორ არ ვაპირებ, მაგრამ არა ეხლა. საერთოდ ვერ ვხედავ ახალი სიმღერების სიტუაციას საქართველოში. იმდენად ძვირია ყველაფერი, უაზრობაა ამაში ფულის ხარჯვა და მერე თაროზე შემოდება. რომელიმე შოუში დაგიტრიალებენ, პრემიერა-პრემიერაო და მერე თაროზე შემოდებ.

***— რატომ ხართ ასე პესიმისტურად განწყობილი?***

— არა, პესიმიზმი რა შუაშია? ტელევიზორს ხომ ვუყურებ, ახალი არაფერი მინახავს. მარტო სამი მომღერლის რაღაც სიმღერები, კლიპები ტრიალებს ერთი და იგივე. უკვე არც ერთ კლიპს აღარ ვუყურებ. როგორც კი იწყება, ვრთავ, ძალიან მოსაბეზრებელია. სხვა სახეები მინდა ვნახო, მაგრამ მაინცდამაინც ერთი და იგივე სახეები ჩანს სულ.

***— თბილისურ სცენას როდის დაუბრუნდებით?***

— ამის დროც დადგება. მინდა, ხმაურიანად დავბრუნდე. მინდა არაორდინარული, გრანდიოზული შოუ მოვაწყო. ამხელა შესვენების შემდეგ მინდა, მაგარი კონცერტი გავაკეთო, მაგრამ არანაირად — აკადემიური. აკადემიურ კონცერტებზე საშინლად ვიღლები, არ შემიძლია. მე უფრო მინდა, ჩემს კონცერტზე იყოს აჟიოტაჟი, სანახაობრივი, თანამედროვე შოუ უნდა გავაკეთო. ახალ სიმღერებსაც ჩავწერ მერე და... არ ვიცი, იმდენი რამე მინდა... სამოდელო-სადიზაინეროც მინდა გავაკეთო. ამდენს თუ გავწვდები, მაგას რა სჯობია. მე კი ბევრი რამე მინდა, მაგრამ, იყოს უფლის ნება, რაც ჩემთვის უკეთესია, ყველაფერი ისე იქნება.

***— საქართველოში საავტორო უფლებებზე დაიწყო აქტიური მსჯელობა. თქვენ გჯერათ, რომ ამ მხრივ სიტუაცია გამოსწორდება?***

— იმდენად ყველაფერი ნელ-ნელა თავის ადგილს იკავებს, რომ ალბათ ეს საკითხიც მოგვარდება. ადრე უფრო გაურკვეველი სიტუაცია იყო. ახლა რაც ითქმევა, ყველაფერი კეთდება. მჯერა, რომ საავტორო უფლებების საკითხი მოგვარდება. იმდენ სფეროში მოგვარდა ყველაფერი, ესეც გაკეთდება. პაპსას რესტორანში იმდენად არ მღერიან, ალბათ უფრო ქალაქური და ბაიათების მომღერალმა ხელოვანებმა უნდა იდარდონ. მათ კარგი შემოსავალი ექნებათ. მინდა, ისეთი ქვეყანა დადგეს, რომ ყველამ თავისი პროფესიით განავრცოს საკუთარი თავი.

***— თქვენი მეუღლე რეზიკო თუ მუშაობს თავისი პროფესიით?***

— თავისი პროფესიით — კი. სამხატვრო ხელმძღვანელია რაღაც კლუბში.

***— რეჟისორული კუთხით იხარჯება?***

— რეჟისორული კუთხით ძალიან რთულია მუშაობა. ოჯახი არჩინო, პრობლემები მოაგვარო თუ ტელევიზიაში იმუშავო? თან ტელევიზია ისეთი სპეციფიკაა, ოჯახი უნდა დაივიწყო, დილიდან საღამომდე სულ იქ უნდა იყო. ეს ძალიან რთულია. როცა უკვე მიაღწევ რაღაცას წლების მერე, მაშინ შემოგდის თანხა, თორემ დამწყები რეჟისორისთვის ძალიან რთულია. ჩვენ აქ ძალიან ნორმალურად ვგრძნობდით თავს, რეზიკომ არაჩვეულებრივი კლიპები გადამიღო, მეც ვმუშაობდი. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, ამას ვაკეთებდით, შეგვეძლო. რომ მივხვდით, რომ აღარაფერი გამოდიოდა და ოჯახს რჩენა უნდოდა, ამიტომ წავედით აქედან.

# ტომ იორკი — მუსიკოსი, რომელმაც ნოტების კითხვა არ იცის

ტომას ედვარდ იორკი — ბრიტანული როკ ჯგუფის რედიოჰედის წამყვანი ვოკალისტია. მუსიკალური გემოვნება ადრეულ ასაკშივე ჩამოუყალიბდა და ახლა ბრიტანეთში საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

### ადრეული წლები

ტომ იორკი 1968 წლის 7 ოქტომბერს ინგლისის ქალაქ ველინბურგში დაიბადა. მისი ცხოვრება დაბადებიდანვე ტრაგედიით დაიწყო. მომავალ მომღერალს ადრეულ ასაკშივე ხუთი ქირურგიული ოპერაციის გადატანა მოუხდა, რათა მარცხენა პარალიზებული თვალის კორექტირება მომხდარიყო, რაც ბავშვობიდან თანდაყოლილი დეფექტი იყო. მომღერლის განცხადებით, ბოლო ოპერაცია ცუდად ჩატარდა, რამაც თვალში მხედველობა თითქმის დაუკარგა. მართალია, ხელოვნური კუნთის ჩასმის შემდეგ იორკმა მზის სხივი მაინც დაინახა, თუმცა თანდაყოლილი დეფექტი დარჩა — ქუთუთოს დახრის დროს მისი მარცხენა თვალი ვიწროდ მოჩანს.

ტომის მამა ქიმიური დანადგარების გამყიდველი იყო, რის გამოც ოჯახს ხშირად უწევდა მოგზაურობა. საბოლოოდ იორკები ოქსფორდშირში დასახლდნენ. შვიდი წლის ტომს პირველი გიტარა მაშინ აჩუქეს და მანაც ჯგუფ „ქუინის“ გიტარისტ ბრაიან მეის საშემსრულებლო სტილით შთაგონებულმა როკ-ჯგუფის შექმნა განიზრახა. ათი წლის ასაკში იგი პირველად შეუერთდა ჯგუფს ებინგდონის ვაჟთა საჯარო სკოლაში — ადგილას, სადაც იგი მომავალი რედიოჰედის წევრებს — ედ ობრაიენს, ფილ სელუეის, კოლინ გრინვუდსა და მის უმცროს ძმას, ჯონის შეხვდა.

ჯგუფს „ონ ე ფრაიდი“ დაარქვეს. ეს სახელწოდება დაკავშირებულია კვირის იმ ერთადერთ დღესთან, როდესაც ბიჭებს სკოლის მუსიკალურ დარბაზში რეპეტიციის უფლება ჰქონდათ. ბავშვებს მათივე სკოლის მუსიკის მასწავლებელი, ტერენს გილმორ-ჯეიმსი აძლევდა სტიმულს. იორკის თქმით, სკოლის აუტანელი გარემოს გავლენისგან მხოლოდ მუსიკალური განყოფილება იცავდა, რომელშიც არაერთი საათი გაუტარებიათ მომავალი რედიოჰედის წევრებს დაუღალავ რეპეტიციებსა და ვარჯიშში. დასაწყისში ტომი მხოლოდ გიტარას უკრავდა და კომპოზიტორობაში ხელოვნდებოდა.

მოგვიანებით იორკმა ექსეტერის უნივერსიტეტში (ოქსფორდი) ჩააბარა სახვითი ხელოვნებისა და ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტზე. იორკი პარალელურად დიჯეიდ მუშაობდა ერთ-ერთ ღამის კლუბში, სადაც რამდენიმე მუსიკალურ ჯგუფთან ერთად მოსინჯა ძალები. ასევე ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მეორე კურსზე იგი პირველად გაეცნო კომპიუტერულ ტექნიკას და აქვე შეხვდა ჯგუფის მომავალ დიზაინერ სტენლი დონვუდს. სტენლისთან ერთად სხვადასხვა პროექტზე მუშაობისას იორკი ხშირად ხმარობს მეტსახელებს (მაგ:. „თეთრი შოკოლადის ფერმა“ და „თჩოკი“). წლების შემდეგ იორკმა სწორედ დონვუდთან ერთად მოიპოვა გრემი ალბომის საუკეთესო ყდისთვის.

19 წლის ასაკში იორკი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად ავტოავარიაში მოყვა. თავად ტომი უვნებლად დარჩა, მისმა მეგობარმა კი სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. სწორედ ამას უკავშირდება იორკის ფობია მანქანების მიმართ, რაც ცხადად ჩანს სიმღერებში „ეარბაგი“, „ქილერი მანქანები“ და „სულელი მანქანა“. ჯგუფი „ონ ე ფრაედის“ საქმიანობა 1991 წელს განახლდა, როდესაც სხვადასხვა უნივერსიტეტში გაფანტულმა წევრებმა სწავლების კურსი დაასრულეს, რის შედეგადაც ჯგუფის სახელწოდება შეცვალეს — რეიდიოჰედი დაარქვეს და ხმის ჩამწერ კომპანია „ემისთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერეს.

### რედიოჰედში

რედიოჰედს პირველი წარმატება სიმღერა „მცოცავმა“ მოუტანა, რომელიც სადებიუტო ალბომის (პაბლო ჰონეი) მთავარ ჰიტად იქცა. სიმღერა საზოგადოებისგან გარიყული პიროვნების უიღბლო სიყვარულზეა დაწერილი. როგორც ამბობენ, „მცოცავი“ თავად ტომ იორკის მიერ ექსეტერის უნივერსიტეტის მამაკაცთა ტუალეტშია დაწერილი. მართალია, სიმღერამ ჯგუფს პირველი წარმატება მოუტანა, მაგრამ მისგან გამოწვეულმა პოპულარობამ თავად რედიოჰედი დაჩრდილა. ტომი გრძნობდა, როგორ ჰიტდებოდა მისი შექმნილი სიმღერა, მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ ამით არაფერი ემატებოდა რედიოჰედს პროფესიული თვალსაზრისით. ეს განწყობა მან კარგად გამოხატა შემდგომ ალბომში „ბენდი“, სადაც სიმღერების შინაარსი ყოველგვარი სიყალბის გარეშე ასახავს გარემოს, რომელშიც რედიოჰედს უწევდა ცხოვრება. იორკი თანდათან უახლოვდებოდა საზოგადო თემებს, რაც კარგი წინაპირობა იყო იმისთვის, რომ უფრო მეტი ყურადღებით მოპყრობოდნენ მისი ჯგუფის შემოქმედებას.

1997 წელს ჩაწერილმა ალბომმა „ოკ კომპიუტერომ“ მასმედიის თითქმის ყველა საშუალების ყურადღება დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ ალბომმა ჯგუფი მსოფლიო საზოგადოებას წარუდგინა, მანვე დააჩქარა დეპრესია, რომელიც პოპოულარობის შედეგად დაეუფლა ტომ იორკს. დეპრესიის კლინიკური ნიშნები კარგად წარმოჩნდა რედიოჰედზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში „სახალხოდ შეხვედრა მარტივია“. იორკმა ბევრ ინტერვიუში აღნიშნა, თუ როგორ სძულდა ის „მითიური“ სტატუსი, რომელიც სტერეოტიპად დაჰყვებოდა ყველა როკ-მომღერალს — მასზე ყოველთვის გამაღიზიანებლად მოქმედებდა მედიის მომაბეზრებელი ინტერესი სხვადასხვა სახის შოუს, იგივე დადგმული სპექტაკლის მიმართ. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რედიოჰედის ყოველი წევრი გრძნობდა, თუ როგორ ხდებოდა საზოგადოებისთვის მათი პიროვნება გაცილებით უფრო საინტერესო, ვიდრე მათ მიერ შექმნილი ხელოვნება. რაც ყველაზე მეტად სამწუხარო იყო, ისინი იძულებული იყვნენ, იმ გარემოში ეცხოვრათ, რომელსაც ყველაზე დიდი ზიზღით აკრიტიკებდნენ.



იორკს მეგობრებთან ერთად დაგროვილმა პროტესტის გრძნობამ სტილის რადიკალურად შეცვლისკენ უბიძგა, რაც შემდგომში ალბომების „კიდ ა“ და „ამნეზია“ (2000□2001) სახით წარმოუდგა მუსიკალურ სამყაროს. რედიოჰედს ხელოვნების საზღვრების გაფართოებამ, რაც ელექტრონიკის, ჯაზისა და კლასიკური მუსიკის სინთეზში გამოიხატა, კრიტიკოსთა აღიარება მოუტანა. თუმცა, მათ გვერდით იყვნენ ისინიც, ვინც რედიოჰედის ადრეულ სტილს იწონებდა და საყვარელ ჯგუფს ალტერნატიული□ბრიტპოპ მი-



მართულებისკენ მოუწოდებდა, ისევე, როგორც ამას სხვა ბრიტანული ბენდები „კოლდპლეი“ და „მუზა“ აკეთებდნენ.

იორკი დღემდე არავის უგდებს ყურს და მხოლოდ თავისი პრინციპებით მოქმედებს. მისი იდეოლოგია და ის დამახასიათებელი ასპექტები, რომლებიც პერიოდულად თან სდევენ, რედიოჰედის განვითარების თითოეულ ეტაპზე ყოველთვის წარუშლელ კვალს ტოვებს. თავად ჯგუფის წევრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ისინი თავიანთ ხელოვნებასთან ერთად იზრდებოდნენ. იორკმაც ცხოვრებისეული გამოცდილების დიდი ნაწილი სწორედ სტუდიური სესიებისა და ცოცხალი კონცერტების მსვლელობისას მიიღო. შედეგად, ბოლო ალბომში „ქურდის სიტყვა“ მომღერალი უკვე იმ შეშფოთებას ასახავს, რაც თავისი შვილების მომავალთან დაკავშირებით აწუხებს. ეს ნამუშევარი დღემდე ვერ იშორებს იარლიყს, რომელიც მას ბუშის საწინააღმდეგო პროპაგანდასთან აკავშირებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტომმა ბევრჯერ უარყო ალბომის პოლიტიკური სარჩული.

იორკი ირწმუნება, რომ მას არასოდეს მოუსმენია რედიოჰედის ალბომებისთვის მათი ჩაწერის შემდეგ:

— მათ მოსმენას მხოლოდ მაშინ გავბედავ, როცა ნორმალურ სამყაროში ვიცხოვრებთ. მე მეშინია მათი. მირჩევნია, რაღაც ახალი გავაკეთო და შემდეგ დავივიწყო ის, რათა სხვა სიახლის შექმნა დავიწყო.

### სოლო ნამუშევრები

ტომ იორკის სოლო-ალბომი „საშლელი“ (2006 წლის ივლისი), რომლის პროდიუსერიც ნაიჯელ გოდრიჩი და დიზაინერი სტენლი დონვუდი გახლდათ, გაცილებით მეტ გასაქანს იძლევა ელექტრონიკაში და მელოდიურობის ხაზსაც არ კარგავს. იორკმა ალბომის გამოშვებისთანავე უარყო ხმები მისი ჯგუფიდან წასვლის თაობაზე:

— არ გინდათ ბოდვა ჩემი მოღალატეობის თუ რაღაც სისულელეების შესახებ, რაც მხოლოდ ყბედობას გამოიწვევს. ყველაფერი რედიოჰედის წევრების ნება-სურვილით მოხდა.

ალბომმა ბრიტანულ ჩარტში 3 ადგილს მიაღწია, ხოლო ამერიკაში, კანადასა და ავსტრალიაში მეორე გახდა, რის შემდეგაც ირლანდიურ ჩარტშიც კი თავისი პოზიცია დაიმკვიდრა — მეცხრე ადგილი. ალბომი ნომინირებულ იქნა მერკურის მუსიკალურ დაჯილდოებაზე, სადაც ჯგუფთან „არქტიკ მანქი“ დამარცხდა. ასევე ნომინირებული იყო გრემიზე, როგორც წლის საუკეთესო ალტერნატიული ალბომი.□

### მუსიკალური ხედვა

ტომ იორკის ვოკალურ მახასიათებლებში მომღერლის მაღალი ფალცეტია აღსანიშნავი, რაც ყველაზე კარგად გამოხატულია სიმღერებში „იმიტირებული პლასტიკური ხეები“, „პარანოიდი“ და „როგორც დაგებული ფილები“. ასევე უნარი აქვს, აიღოს მაღალი აკორდები, როგორც ამას აკეთებს სიმღერებში „მცოცავი“, „მუსიკა დასრულდა“ და „მოდით, წავიდეთ“. ალბომ „ბენდის“ ჩაწერაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯეფ ბაკლის კონცერტმა, რომლის ხილვის შემდეგ წარმოქმნილმა შთაბეჭდილებამ პირდაპირი ასახვა ჰპოვა ტრეკში „იმიტირებული პლასტიკური ხეები“. მიუხედავად ამისა, იორკი თავის ხმას ლამაზად სულაც არ მიიჩნევს და ამბობს, რომ მისი ვოკალი „საოცრად დამჟავებულია“. ცოცხალი კონცერტების დროს ხშირად მიმართავს სხვადასხვა სტილს. მაგალითად, ტრეკის „პარანოიდი“ შუა ნაწილი, სადაც ბოლო ხმაზე გაჰყვირის, ასევე ნახევრადმოლაპარაკე ხმა სიმღერებში „მიქსომატოზი“ და „კარებთან მგელია“. იორკის საშემსრულებლო სტილის კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი სიტყვების „ჩაყლაპვაა“, რაც ხშირად თითქმის შეუძლებელს ხდის ლირიკის გაგებას. მის ზოგიერთ ალბომს არ დართვია ოფიციალური სასიმღერო ტექსტი. ეს კი მსმენელის ფანტაზიას გასაქანს აძლევს, სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოიდგინოს მათში შესული სიმღერები.

იორკი მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ელექტროგიტარას, აკუსტიკურ გიტარას და პიანინოს იყენებს. ასევე შეუსრულებია დასარტყმელი ინსტრუმენტისა და ბას-გიტარის პარტიები. ტომმა, ისევე, როგორც რედიოჰედის წევრთა უმრავლესობამ, ნოტების კითხვა არ იცის. მისი თქმით, ნებისმიერი ცდა, ნოტებით დაეკრა, მისთვის სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. მას არაერთხელ ირონიულად მოუხსენებია საკუთარი საშემსრულებლო ოსტატობა პიანინოსა და გიტარაზე:

— რომ იცოდეთ, რა საცოდავად ვუკრავ პიანინოზე. სულ ტომ უეითსის სიტყვები მახსენდება, რომელიც მრავალი წლის წინ მითხრა — კომპოზიტორობისკენ მხოლოდ იმ ინსტრუმენტების არცოდნამ მიბიძგა, რომელზედაც ვუკრავდიო. ჩემთვის ეს ყველაფერი დიდ სიახლეს წარმოადგენს. ამიტომაც გადავვარდი კომპიუტერებსა და სინთეზატორებში — წარმოდგენა არ მაქვს, როგორ დავუკრა ინსტრუმენტებზე.

ალბომში „კიდ ა“ იორკს ელექტრონული ელემენტების შემოტანისას პროგრამირებულ „ბითებსა“ და „სემპლერზე“ მოუწია მუშაობა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნა კიდეც, რომ კუსტიკურ გიტარაზე უკეთ ლეპტოპზე დაკვრა ეხერხებოდა. სოლო-ალბომშიც ტრადიციულ პიანინოსა და გიტარასთან ერთად იგივენაირ ხერხებს იყენებს.

რაც შეეხება მუსიკალურ გავლენას, ტომ იორკის სტილის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ჯაზ-კომპოზიტორმა და ბასისტმა ჩარლზ მინგესმა და ნეილ იანგმა, ასევე მომღერალმა სკოტ უოლკერმა. ადრეული რედიოჰედის და, კერძოდ, იორკის შემოქმედებაზე გავლენა მოახდინეს ჯგუფებმა „ჯოი დივიზიონი“, „მაგაზინი“, „ელვის კოსტელო“, „სმიტსი“.

### პირადი ცხოვრება

ტომ იორკს ჰყავს ძმა — ენდი, რომელიც ჯგუფ „უნბელივეიბლის“ ექს-ვოკალისტია. ამჟამად ტომი ოქსფორდის ცენტრში ცხოვრობს თავისივე მეგობარ გოგონასთან რეიჩელ ოუენთან ერთად. რეიჩელი ხელოვნების ისტორიაში დოქტორის ხარისხს ფლობს და ტომთან ორი შვილი — ნოე (დაიბადა 2001 წელს და მიეძღვნა რედიოჰედის ალბომი ამნეზია) და აგნესა (დაიბადა 2004 წელს და მიეძღვნა იორკის სოლო-ალბომი საშლელი) ჰყავს.

იორკი აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ეკოლოგიურ ორგანიზაციათა ქსელურ გაერთიანებაში და ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებისთვის იბრძვის. 2005 წლიდან იგი ამ ორგანიზაციის წევრი გახდა. ასევე ცნობილია, როგორც ანტიგლობალისტი, რომელიც სამართლიანი სავაჭრო ურთიერთობებისთვის იბრძვის. მისი ანტიგლობალისტური იდეოლოგია ადამიანის უფლებათა დაცვაში ვლინდება, სადაც მეტწილად ომების დამანგრეველი შედეგების წინააღმდეგ ქადაგებს. ამ მიზნით რედიოჰედმა მონაწილეობა მიიღო ტიბეტის გათავისუფლებისათვის მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტში (1998□1999) და საერთაშორისო ამნისტიის იუბილეზე (2000).

იორკი საერთაშორისო ამ ორგანიზაციის წამყვანი სახეა და მის თითქმის ყველა მასშტაბურ პროექტში მიიღო მონაწილეობა. ამავე პროექტის ფარგლებში მან თავისი წვლილი შეიტანა საქველმოქმედო კონცერტით (2006), რომელსაც ბრიტანული პოლიტიკური პარტიები ესწრებოდნენ (მათს შორის იყო „ტორების“ ლიდერი დეივიდ კამერონი, ვისაც იორკმა თავის დროზე მხარი არ დაუჭირა). ბრიტანული საზოგადოება იორკმა მაშინ განაცვიფრა, როდესაც ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მიწვევას კლიმატური პრობლემების განსახილველად უარით შეხვდა, იმ მიზეზით, რომ ბლერი არ ფლობდა სრულფასოვან ინფორმაციას ეკოლოგიურ საკითხებზე.

ბუნების დაცვისადმი სწრაფვა იორკის ცხოვრების სტილშიც შესამჩნევია — იგი დიდი ხანია, რაც ვეგეტარიანელია. მისი ბოლოდროინდელი განცხადება ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებას უკავშირდება. იგი, მისივე თქმით, მუსიკალური ინდუსტრიის დამსახურებაცაა, ამიტომ რედიოჰედი ტურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში განაახლებს, თუ ნახშირბადის გამონაბოლქვის რაოდენობა შემცირდება.

# ალექსანდრე კობახიძე: „ქეცბაიას დრო სჭირდება“

ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრებში ძირეული ცვლილებები ხდება. ეროვნულ გუნდში რამდენი ახალი სახე, უფრო სწორად, ქართული ფეხბურთისთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, რომელთაც ნაკრებში თითზე ჩამოსათვლელი მატჩები აქვთ ჩატარებული. ერთ-ერთი ასეთი მათგანი კიევის „არსენალის“ ნახევარმცველი ალექსანდრე კობახიძეა.

ჩვენებური უკრაინის პრემიერ-ლიგაში თამაშობს და საკმაოდ წარმატებითაც, ამიტომაც იყო, რომ კობახიძით რუსული მედიაც კი დაინტერესდა და ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც ქართველი ნახევარმცველი თავის კლუბზე საუბრობს და იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ თემურ ქეცბაიას დრო სჭირდება, რათა გუნდი ათამაშდეს და ფეხბურთელებმა მოედანზე მისი ყველა დავალება შეასრულონ.

***— „არსენალის“ პრეზიდენტმა ვადიმ რაბინოვიჩმა თქვა, რომ მისთვის ფენომენი ხართ. ასეთ ფორმულირებას ეთანხმებით?***

— რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ კლუბის პრეზიდენტმა გამომარჩია. თუმცა, ფენომენებად არ ხდებიან — იბადებიან. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ „არსენალში“ მენდობიან და თამაშის საშუალება მაძლევენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ კლუბში „გავიხსენი. კიევში თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ.

***— რატომ ვერ მოახერხეთ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა „დნიპროსა“ და „კრივბასში“? იქ მწვრთნელები არ გენდობოდნენ?***

— იმ უკრაინულ კლუბებზე, სადაც აქამდე მითამაშია, ნაწყენი არ ვარ. „დნიპროში“ თითქმის შანსი არ მომცეს, ხოლო „კრივბასს“ რაც ეხება, ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ მსურს.

***— აბობდნენ, რომ „კრივბასის“ მთავარ მწვრთნელ იური მაქსიმოვთან გაუგებრობა გქონდათ.***

— არა, ყველაფერი ნორმალურადაა. უბრალოდ, წარსულში დაბრუნება არ მინდა. თითოეულ მწვრთნელს თამაშის საკუთარი ხედვა აქვს და ამ თემაზე საუბარი უაზრობაა. იური მაქსიმოვთან კონფლიქტი არ მქონია. მან მაგრძნობინა, რომ გუნდში ჩემს ადგილს ვერ ხედავდა და ამიტომ წამოვედი.

***— „არსენალის“ ვარიანტი როგორ წარმოიშვა?***

— იური ბაკალოვმა დამირეკა, რომელიც მაშინ „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი იყო და მითხრა, რომ გუნდში ჩემი ხილვა სურდა.

***— „არსენალი“ შეძლებს დასახული ამოცანის შესრულებას და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას?***

— განვლილ სეზონში ამის გასაკეთებლად გუნდს ცოტა დააკლდა. ამ ეტაპზე კი საკუთარი ძალების გვჯერა. გულშემატკივრები მინდა დავარწმუნო, რომ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, ამოცანის შესასრულებლად კი იმაზე მეტს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინა სეზონის შეცდომები არ გავიმეოროთ.

***— „არსენალს“ საშინაო მატჩებში უფრო უჭირს.***

— გეთანხმებით. საკუთარი გულშემატკივრების წინაშე უფრო დამაჯერებელი თამაში გვმართებს. თუმცა, ვერ ავხსნი, თუ რატომ არ გამოგვდის საშინაო მატჩები. დარწმუნებული ვარ, რომ ამას გამოვასწორებთ. ამ კუთხით „ოლექსანდრიასთან“ სათასო შეხვედრა ჩვენთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

***— ბოლო პერიოდში საქართველო ეროვნულ ნაკრებში ისევ მიგიწვიეს. თქვენ პერსპექტიული გუნდი გყავთ და რატომ ვერ მოახერხეთ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა?***

— ამ შესარჩევ ციკლში ნაკრებს წამყვანი მოთამაშეების ტრავმების მუდმივი პრობლემა ჰქონდა. საუკეთესო შემადგენლობის შეკრება პრაქტიკულად ერთხელაც არ მოხერხდა. ყოველ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის რომელიმე ფეხბურთელი ტრავმირებული იყო. პრობლემები იქმნებოდა იმის გამოც, რომ სხვადასხვა მიზეზით, ფეხბურთელები შეკრებაზე ჩამოსვლას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ამიტომ, მოედანზე ურთიერთგაგებაც არასრულფასოვანი იყო. ჩვენ მთავარ მწვრთნელს, თემურ ქეცბაიასაც დრო სჭირდება, გუნდი რომ ათამაშდეს და ფეხბურთელებმა მოედანზე მისი ყველა დავალება შეასრულონ. ფეხბურთელების მხრივ კი მართლაც კარგი არჩევანი გვაქვს.

***— მალტასთან ფრედ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში მოედანზე შეცვლაზე გამოხვედით. ეს შედეგი საქართველოს ნაკრებისთვის წაგების ტოლფასია.***

— იმ მატჩში გოლის გასატანად მომენტები საკმარისად გვქონდა, მაგრამ მათი რეალიზაცია ვერ მოვახერხეთ. იგივე მოხდა ლატვიასთან შეხვედრაში. რაღაც უიღბლობა გვჭირს. საწყენია, რომ ასეთი რამ ბოლო შეხვედრებში მოხდა, სადაც ფავორიტებად ვითვლებოდით. იმედია, საბერძნეთთან შეხვედრაში ჩვენი უიღბლობა დასრულდება.

***— როგორ ფიქრობთ, შესარჩევი ციკლის ბოლოს შეხვედრაში ნაკრებში გამოგიძახებენ (ინტერვიუ მანამდეა ჩაწერილი, სანამ კობახიძე მიწვევას მიიღებდა)?***

— ამას ვერ დავგეგმავ, რადგან საკადრო პრობლემებს მხოლოდ ნაკრების მწვრთნელი წყვეტს. შემიძლია ვთქვა, რომ მე, ისევე, როგორც თითოეულ ფეხბურთელს, ძალიან მინდა, ეროვნულ ნაკრებს დავეხმარო. ჩემთვის ეს დიდი პატივია.

***— ამ საკითხში ყველაფერი თქვენზე არ არის დამოკიდებული.***

— ეს მესმის. თუ იმსახურებ, რომ საუკეთესო ქართველი ფეხბურთელების გევრდით იდგე და საკუთარი ქვეყნის ღირსება დაიცვა, მაშინ ყველაფერი ნორმალურად იქნება. ნაკრებში გამოძახება სათამაშო დონის მთავარი კრიტერიუმია.

***— ნაკრებში კახა კალაძესთან ერთად თამაშობდით, რომელიც საქართველოში თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ის თქვენი კერპი იყო?***

— სიმართლე გითხრათ, ჩემი კერპი ყოველთვის ანდრეი შევჩენკო იყო. ცხადია, როდესაც კახა „მილანში“ თამაშობდა, მას ვგულშემატ-



კივრობდი და მილანური კლუბის მიერ ჩატარებულ მატჩებს თვალს ვადევნებდი. თავად გესმით, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის რას ნიშნავს ანდრეის ან კახას გვერდით თამაში, მით უმეტეს, თუ ამ ფეხბურთელებს თვალს ბავშვობიდან ადევნებ.

***— კახასთან ურთიერთობა გაქვთ?***

— ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ. ახლა, ნაკრებში კარგი კოლექტივია შეკრებილი, რომელშიც არცთუ ცოტა ცნობილი ფეხბურთელი გამოდის. ქართველები კომუნიკაბელური ხალხია და ამიტომ გუნდში ყოველთვის თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. ჩემთვის დიდი პატივია ისეთი ფეხბურთელების გევრდით თამაში, როგორებიც ხიზანიშვილი და კობიაშვილი არიან.

***— ნაკრებში გიორგი დემეტრაძეზე რას ამბობენ?***

— ჩვენთვის ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. გიორგი ციხეში არ უნდა იჯდეს. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ასე ფიქრობს ყველა, ვინც მას იცნობს. ამ თემაზე საუბარი არ მინდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ ძალიან განვიცდით. საუბრობდნენ, რომ მას დაეხმარებიან, მაგრამ ჯერ ის არის, რაც არის. არ ვიცით, რა გავაკეთოთ.

***— თქვენი აზრით, გასულ სეზონში „არსენალში“ ცოტა მატჩები რატომ ჩაატარეთ?***

— ფეხბურთში კონკურენცია გუნდს აძლიერებს, რომელიც „არსენალშიც“ არსებობს. ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია, რომ საწვრთნელი პროცესისადმი საკუთარი მიდგომით ძირითად შემადგენლობაში ადგილი მოიპოვოს, ხოლო კონკურენცია სტიმულს გაძლევს. მწვრთნელი წყვეტს, მოედანზე ვინ უნდა გამოვიდეს და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. რამდენსაც მეტყვის, იმდენს ვითამაშებ. ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. სხვადასხვა მიზეზთა გამო 90 წუთი თამაში ყველა ფეხბურთელს არ შეუძლია.

***— „ზარიას“ კარში გატანილი 2 გოლი ფსიქოლოგიურად დაგეხმარათ?***

— რა თქმა უნდა, ამ გოლებმა თავდაჯერება შემძინეს. თუმცა, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელის ნდობა ვიგრძნო და ვიცოდე, რომ ის აქცენტს ჩემზე აკეთებს. მთავარი გოლების ავტორების გვარები კი არა, ტაბლოა. ვინ გაიტანა, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

***— თანამედროვე ფეხბურთში, მოთამაშის უნივერსალიზმი ძალიან ფასდება. თქვენ თავდასხმაშიც გითამაშიათ. თავს უკეთესად რომელ პოზიციაზე გრძნობთ?***

— ყველაზე მეტად განაპირა შემტევ ნახევარმცველად თამაში მომწონს. თუმცა, „კრივბასში“ თავდასხმაში ვთამაშობდი. ვერ გეტყვით, რომ ეს ჩემი პოზიციაა არაა, მაგრამ გამოკვეთილ თავდამსხმელად თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ. გაცილებით მომწონს, როდესაც შეტევას მოედნის სიღრმიდან ვიწყებ და ან საგოლე პასს ვაკეთებ, ან კიდევ თავად გამაქვს გოლი.

***— ლეონიდ კუჩუკთან მუშაობა რამდენად მოგწონთ? თქვენს კარიერაში ის საუკეთესო მწვრთნელია?***

— კარიერის განმავლობაში მუშაობა ბევრ კარგ სპეციალისტთან მომიწია. მე მომწონს შემტევი სტილი, რომელსაც ჩვენი მწვრთნელი ქადაგებს. ამ მხრივ მას უპირატესობა აქვს ჩემს ყოფილ მწვრთნელებთან შედარებით. აღსანიშნავია მკაცრი სათამაშო დისციპლინა, რომელიც კუჩუკმა დანერგა. ერთი შეხედვით, ეს ადამიანი შეიძლება მკაცრი მოგეჩვენოთ, მაგრამ მოთამაშეებთან ურთიერთობაში ის ზღვარს არასოდეს ცდება. ვფიქრობ, მისი პროფესიონალიზმი ყველამ შეამჩნია. თავად მწვრთნელი საფეხბურთო საკითხებში ჩვენთვის ავტორიტეტია.

***— ახალგაზრდა ხართ და პირად ცხოვრებაში როგორ მიდის თქვენი საქმე?***

— ცოლი არ მყავს. ამ საკითხში ყველაფერი უფალზეა დამოკიდებული.

***— კიევში მდებარე ქართული რესტორნები იცით?***

— რა თქმა უნდა. თუმცა, იქ ხშირად არ დავდივარ. ჩვენი ეროვნული კერძები ძალიან კალორიულია და წონას ადვილად მოიმატებ. ლეონიდ კუჩუკი ხშირად მაიძულებს, ავიწონო, რადგან ესმის, რომ ქართული კერძების გარეშე მიჭირს, ხოლო ეს ზედმეტი კილოგრამებია. თუმცა, ზოგჯერ საკუთარ თავს ქართულ რესტორანში კარგად დანაყრების უფლებას ვაძლევ.

***— კიევი მოგწონთ? აქ საცხოვრებლად დარჩებოდით?***

— რა თქმა უნდა, თბილისი მენატრება, მაგრამ დიდი ხანია კიევში ვარ და ამ ქალაქს მივეჩვიე. თავის დროზე დნეპროპეტროვსკში ბევრი დრო გავატარე, მაგრამ დედაქალაქში ცხოვრება უფრო საინტერესოა. თუმცა, საქმე ის არაა, სად ვცხოვრობ. ნიუ იორკში ან მაიამიში გადასვლა რომ მომიწიოს, მაგრამ იქ ფეხბურთი ვერ ვითამაშო, ეს ვარიანტი ჩემთვის მიუღებელია. „არსენალში“ ჩემთვის ყველაფერი მისაღებია და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ეს ყველაზე მთავარია.

# ანდრეი შევჩენკო: „სახლში, ოქროს ბურთის გარდა, არაფერს ვინახავ“

თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, 2004 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი ანდრეი შევჩენკო 35 წლის გახდა.

მართალია, მისი დრო უკვე თითქმის წარსულს ჩაბარდა, მაგრამ უკრაინელი ფეხბურთელი თავისი მშობლიურ კიევის „დინამოში“ მოედანზე მაინც ბოლომდე იხარჯება. სწორედ ამიტომ არის, რომ გამუდმებით ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

შევჩენკოსთან ინტერვიუ რუსულმა „სპორტ ექსპრესმა“ გამოაქვეყნა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

***— როგორი განწყობით ელოდით დაბადების დღეს?***

— ჩემი დაბადების დღე დიდად არც არასოდეს მყვარებია, რადგან ძალიან ბევრი ყურადღება მექცევა და ბევრი ვინმე მირეკავს. საუკეთესო საჩუქარი ჩემთვის არის ის, რომ ჩემთან ჩემი მეგობრები მოვიდნენ, კეთილი და ბედნიერი ატმოსფერო შეიქმნას. ასე იყო, მაგალითად, „ჩელსიში“ პირველი სეზონის დროს, როცა 30 წლის გავხდი. მაშინ ჩემთან მილანელებიც მოვიდნენ მოსალოცად და ჩელსელებიც. კარგი იყო „მილანში“ პირველი სეზონის დროსაც. მთელი გუნდი რესტორანში შევიკრიბეთ, ჟორჟ ვეამ მიმღერა, ყველანი ვცეკვავდით. საოცარი ატმოსფერო იყო. „დინამოშიც“ არაერთხელ აღმინიშნავს კარგად.

***— როგორია 35 წლის ასაკში თამაშის მოტივაცია?***

— შინაგანი, რადგან ჯერ კიდევ მსიამოვნებს ფეხბურთის თამაში. მოვდივარ ვარჯიშებზე, ვმუშაობ, ვყვირი, ლამის თავს ვიკლავ. ეს ემოციებია და ამად ღირს ცხოვრება.

***— ეს სურვილი უფრო 2012 წლის ევროპის ჩემპიონატით ხომ***



***არ არის ნაკარნახევი?***

— არანაირად. ის დამოკიდებულია მხოლოდ ჩემს შინაგან სამყაროზე.

***— ამჟამინდელი კარგ ფორმაში მყოფი შევჩენკო მილანელი შევჩენკოს რამდენი პროცენტი დარჩა?***

— გამოცდილება ახლა უფრო მეტი მაქვს, თუმცა ფიზიკურად, ბუნებრივია, შედარება არ შეიძლება. ველარ დავრბივარ ისე, როგორც ადრე შემეძლო. თუმცა თავს კარგად ვგრძნობ. სტაბილურობის შეგრძნება გაჩნდა, ხერხემალიც უკვე ნაკლებად მაწუხებს.

***— ეს იმ ექიმის გამო ხომ არა, ანატოლი ტიმოშჩუკმა რომ გირჩიათ გერმანიაში?***

— გერმანიის გამოც და იმის წყალობითაც, რომ კიევში კარგი ფიზიოთერაპევტი ვნახე.

***— სიომინმა თქვა, რომ წონაში ძალიან დაიკელით.***

— დიახ, 6 კილოგრამი დავიკლე იმის გამო, რომ ყბის მოტეხილობის შემდეგ, უბრალოდ, ჭამა არ შემეძლო. თუმცა, ბოლოს ცოტა მოვიმატე უკვე. ოპტიმალურამდე 2 კილო კიდევ მაკლია.

***— უეფამ გამოაცხადა, რომ სპეციალურ ჯილდოს დააწესებს იმ ფეხბურთელებისთვის, ვისაც ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვს ჩატარებული (შევჩენკოს 102 აქვს). თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ ზღვარის გადალახვა?***

— არა, სტატისტიკის დიდი მოყვარული არ ვარ და არც ჯილდოებზე ვარ დაგეშილი. სახლში, ოქროს ბურთის გარდა, არაფერს ვინახავ. ყველაფერს დედაჩემი აგროვებს.

***— რა დამოკიდებულება გაქვთ „ანჟის“ მიმართ? გაგაკვირვათ იქ ეტოოს გადასვლამ?***

— არ გამკვირვებია. გამოჩნდა კარგი პრეზიდენტი, კერიმოვი, ვინც გადაწყვიტა, ფეხბურთში ფული ჩაედო. ის იწვევს ხალხს, წყვეტს მათ საყოფაცხოვრებო და ფინანსურ პრობლემებს. სურს, რომ მაღალი დონის გუნდი გააკეთოს. ამ მოვლენის მიმართ დადებითი განწყობა მაქვს.

***— თქვენ არ მიუწვევიხართ?***

— არა.

***— ასე რომ მომხდარიყო?***

— ვერ ვხედავ სადმე სათამაშოდ გადასვლის აზრს, რადგან ვთამაშობ გუნდში, სადაც მინდა კიდეც ჩემპიონატის მოგება.

***— ერთი წამითაც კი არ გინანიათ ევროპიდან კიევში დაბრუნება?***

— არა. არ მინანია არც „ჩელსიში“ გადასვლა და არც იქიდან წამოსვლა. ასე მოხდა, ეს ცხოვრებაა. პირიქით, ლონდონში უამრავი საინტერესო მოვლენის მომსწრე გავხდი, ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ჩემთვის ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორც ადამიანისთვის. ყველაფერი ისე ვერ მოხდება, როგორც მე მინდა, ხომ გესმით? ყველაფერს უნდა გავმკლავებოდი.

***— თქვენთვის არ იყო მოულოდნელობა ის, რომ „ჩელსიმ“ კარლო ანჩელოტი ჩემპიონობისა და თასის მოპოვებიდან ერთ წელიწადში გაუშვა?***

— ეს შეკითხვა რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის. საამისოდ ალბათ რაღაც მიზეზები ჰქონდათ. პირადად დღემდე ვინარჩუნებ ურთიერთობას კარლოსთანაც და კლუბ „ჩელსისთანაც“.

***— „მილანისა“ და „ჩელსის“ ახლანდელ ახალგაზრდა მთავარ მწვრთნელებს მასიმილიანო ალეგრისა და ანდრე ვილაშ ბოაშს თუ იცნობთ?***

— ორივეს. ალეგრის „მილანთან“ კონტრაქტის გაფორმების დღეს შევხვდი. ბაზაზე ის ზუსტად მაშინ მივიდა, როცა გალიანისთან დასალაპარაკებლად ვიყავი შესული. კაბინეტიდან შემდეგ იმ დარბაზში გადავინაცვლეთ, სადაც ჯილდოებია განთავსებული. იქ ხედავ ჩემპიონთა ლიგის შვიდ თასს, უამრავ საჩემპიონო ტიტულს, სახელგანთქმული ფეხბურთელების ფოტოებს კლუბის ისტორიიდან. მეც მიყვარს ყველაფერ ამის თვალიერება. მილანში როცა ჩავდივარ, კლუბს ყოველთვის ვსტუმრობ. გალიანისა და ბრაიდას ვნახულობ, ასევე სხვებსაც, ვინც კლუბში წლების განმავლობაში მუშაობს.

***— „ინტერი“ წლების განმავლობაში ხდებოდა იტალიის ჩემპიონი. თქვენთვის ეს იყო თუ არა ნერვიულობის საბაბი?***

— არა, ეს ნორმალური ციკლია. ჯერ „მილანს“ ჰქონდა აღმავლობის ხანა, შემდეგ — ჩავარდნა, ახლა ისევ ფორმაშია. ყველა დიდ კლუბს აქვს ჩავარდნის ეპოქა. სამუდამო არაფერია. „მილანი“, „ბარსელონა“, „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბაიერნი“ — ეს მხოლოდ დასახელებები არ არის, აქ საქმე უკვე განსაკუთრებულ ენერგეტიკასთან გვაქვს.

***— სადღაც წელიწად-ნახევრის წინ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „მილანი“ მიმქრალი ვარსკვლავი ხდებოდა და უცბად...***

— „მილანი“ არასოდეს „ჩაქრება“ იქამდე, ვიდრე მისი პრეზიდენტი ბერლუსკონია. ამ დიდ კლუბში ყოველთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

***— თქვენი აზრით, „ბარსას“ დომინირება რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს?***

— ვფიქრობ, სანამ მესი და კომპანია ითამაშებს, იქამდე.

***— შარშან მესიმ ვერაფერი მოიგო, მაგრამ „ოქროს ბურთი“ მიიღო. თქვენ, როგორც ამ პრიზის ერთ-ერთმა მფლობელმა, ეს ამბავი როგორ მიიღეთ?***

— მესი ფეხბურთის ისტორიაა. იმის მიუხედავად, მოიგო თუ არა მან რამე, მოედანზე ისეთ რამეებს აკეთებს, რომ... ხარისხით, კლასით, გუნდისთვის გაწეული სამუშაოთი მასთან ახლოსაც კი ვერავინ მოდის. თუმცა, ეს იყო წელიწადი, როცა ესპანეთმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მესის, ჩავისა და ინიესტას შორის ამ პრიზის გაყოფა შეიძლებოდა. უბრალოდ, არ შემიძლია მასზე წინ ვინმეს დაყენება.

***— კრიშტიანუ რონალდუ მისგან შორს დგას?***

— არ ვიცი, სად დგას კრიშტიანუ რონალდუ, მაგრამ მესი ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი სხვა.

# ოჯახის ახლობელმა მამა წამართვა



**ნათქვამია, ბავშვს ორივე მშობელი სჭირდებაო, მაგრამ, თუკი მშობლების არჩევანზე მიდგა საქმე, უმეტესობას ურჩევნია, დედა ჰყავდეს და უმამოდ გაიზარდოს, ვიდრე პირიქით.**
**როცა შოთიკო და ნანუკა არჩევანის წინაშე დადგნენ, რა თქმა უნდა, დედასთან დარჩენა ამჯობინეს, თუმცა ბავშვები დღემდე მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ მამამ ისინი მათი ოჯახის საუკეთესო მეგობრის გამო მიატოვა.**

ნანუკა:

— 19 წლის ვარ. უკვე დიდი ვარ და ყველაფერს გაგებით ვეკიდები. დღეს უკვე მშობლების გაყრა თითქმის აღარავის უკვირს, მაგრამ იმის გაგება, რაც ჩვენს ოჯახში მოხდა, არაფრით შემიძლია. მინდა, რომ შევეგუო, მაგრამ არსებულ სიტუაციასთან შეგუებაც არ შემიძლია.

უკვე სამი თვეა, მამა ჩვენგან წავიდა და მიგვატოვა. თითი საჩვენებელი ოჯახი ისევ თითით საჩვენებლები გავხდით, მაგრამ ამჯერად არა იდეალურობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ყველას დასაცინები ვართ. მამაჩემი ჩვენი ოჯახის საუკეთესო მეგობარს გაეკიდა და დედაჩემზე უარი თქვა.

***— ეს ყველაფერი როდის დაიწყო?***

— თამილა ჩვენი ოჯახის დიდი ხნის მეგობარია. მას ოჯახის წევრები თვალდახუჭულები ვენდობოდით. ხშირად მთელი კვირა, როცა ჩვენ სოფელში მივდიოდით, სახლშიც ვტოვებდით, რომ მისთვის ეპატრონა. დედაჩემი თავის დად თვლიდა, თუკი რაიმეს თავისთვის იყიდდა, თამილასთვისაც ყიდულობდა.

***— მამამ მის გამო მიგატოვათ?***

— ერთხელ ჩვენთან სტუმრად ბებიაჩემი, მამაჩემის დედა ჩამოვიდა. საერთოდ, სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლა არ უყვარს, თავის ქათმებსა და ძროხებს არაფერი ურჩევნია, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და თბილისში მისი ჩამოსვლა აუცილებელი გახდა. საავადმყოფოში დავაწვინეთ, კიდევ კარგი, დროულად მივაკვლიეთ მის დაავადებას. ოპერაციაც გავუკეთეთ და ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა.

ჩვენს ოჯახში თამილაც ჩვეულებრივად დადიოდა. ბებიაჩემმა ეს ქალი ამოიჩემა, არ მომწონს, ნამეტანი შინაურივით იქცევა და მასთან ცოტა ფრთხილად იყავითო. ჩვენ დავცინოდით, ასე იცის სოფელმა, გამოიკეტები შენს სახლში და შენი ბოსტნისა და ძროხების იქით აღარავის ხედავ. თამილა ჩვენი მეორე დედააო, ვეუბნებოდით მე და ჩემი ძმა. ბებია ამაზე ბრაზობდა. ასე აღარც კი იხუმროთ, თქვენ ერთი დედა გყავთ და ის ამქვეყანაზე შეუცვლელიაო.

გვიან მივხვდით, რომ ბებიაჩემი სიმართლეს ამბობდა. მას თბილისში დარჩენა კიდევ ორი კვირით მოუწია, ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის კურსი უნდა გაევლო. არ ვიცი, თამილა რამეს მიხვდა თუ ბებიაჩემი არ მოეწონა, მაგრამ, სანამდე ბებია ჩვენთან იყო, ის სულ ორჯერ მოვიდა. ბოდიშებს იხდიდა, მოულოდნელი საქმე გამომიჩნდა და სათანადოდ ყურადღება ველარ მოგაქციეთო.

სამი თვის წინ კი თამილამ ჩვენი სახლიდან ფეხი საერთოდ ამოიკვეთა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ მამაჩვენი წაგვართვა. ზუსტად ასეა — მამა წაგვართვა, აბა, ამას სხვა სახელს ვერ დაარქმევ. არ ვიცი, მამაჩემი რამ გააგიჟა, რომ თამილას გაჰყვა და ისე მიგვატოვა, ჩვენკენ ერთხელაც არ მოუხედავს.

***— ეს ამბავი როგორ მოხდა?***

— მამაჩემი იმ დღეს ჩვეულებრივად წავიდა სამსახურში. დილიდან თითქოს ანერვიულებული ჩანდა. სახლის კარი ისე გაიხურა, არაფერი უთქვამს. გამიკვირდა, იმიტომ რომ კოცნის გარეშე არასოდეს მტოვებდა. მეწყინა. მამას ძალიან ვყავდი განებივრებული და მისგან ელემენტარული უყურადღებობაც ვერ ავიტანე. ვერ მოვითმინე და სამსახურში დავურეკე, მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვა მითხრა, ძალიან დაკავებული ვარო და ყურმილი დამიკიდა. მეწყინა და საშინლად ვიტირე. ჩემი თავის გამიკვირდა, ამხელა გოგოს რა ჯანდაბა მატირებსმეთქი. ეტყობა, შინაგანად ვგრძნობდი, რომ ჩვენს ოჯახში რაღაც საშინელება დატრიალდებოდა.

იმ საღამოს მამა სახლში არ მოვიდა. დედაჩემმა ნერვიულობა დაიწყო. ასე არასოდეს მოქცეულა, თუ აგვიანდებოდა, გვირეკავდა მაინცო. მის მობილურზე რომ დავრეკე, გამორთული ჰქონდა. სამსახურში დავურეკე, მაგრამ დაცვამ მითხრა, უკვე ყველა წავიდა, შენობაში აღარავინ არისო. ის ღამე მე, დედაჩემმა და ჩემმა ძმამ თეთრად გავათენეთ. მამაჩემი არც მეორე დღეს გამოჩნდა. ისევ სამსახურში დავურეკე და მითხრეს, ზურა სამსახურში ჯერ არ მოსულაო.

***— რა იფიქრეთ?***

— რა უნდა გვეფიქრა? რა თქმა უნდა, ყველაფერი ცუდი და საშინელება. წარმოვიდგინე, რომ მამაჩემი ავარიაში მოყვა და მოკვდა. აბა, ასეთ დროს ადამიანები წესიერს არაფერს ფიქრობენ ხოლმე. დედას ვეხვეწებოდი, პატრულში დავრეკოთ, იქნებ მათ მაინც იპოვონ მამაჩემი-მეთქი, რომ ამ დროს დედაჩემის მობილურზე მამამ დარეკა და მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა — თქვენგან მივდივარო.

დედაჩემი შოკში ჩავარდა. წესიერად ვერც კი გაიგო, რა უთხრა მამამ. სიტუაციაში გარკვევა ისევ მე ვცადე და მობილურზე დავურეკე. ჩემდა გასაოცრად, მამაჩემის მობილური თამილამ აიღო და მითხრა, გამარჯობა, ჩემო სიხარულო, მე და მამაშენი უკვე ერთად ვართო. იმდენად გამიჭირდა ამ ყველაფრის დაჯერება, სამჯერ ვკითხე, შენ ვინ ხარმეთქი. მანაც უსინდისოდ მიპასუხა, ვერ მიცანი, თამილა ვარო.

იმ საღამოს ბევრი ვიტირე. ძალიან შემეცოდა დედაჩემი, რომელსაც თვალიდან ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია. იჯდა თავისთვის ჩუმად და ხმას არ იღებდა. დაძინების წინ მამაჩემის მობილურზე ისევ გადავრეკე, ისევ თამილამ აიღო და მითხრა, ახლა უკვე ზედმეტი მოგდის, ახლად შეუღლებულების ამდენი შეწუხება არ ვარგაო. ამ სიტყვებზე გავცეცხლდი და რაც პირზე მომადგა, ყველაფერი ვუთხარი. იმ ღამეს წვეთი არ მიძინია. სულ მამაჩემზე ვფიქრობდი. დედაჩემი საშინლად მეცოდებოდა.

***— ახლა სად არის მამა?***

— თამილასთან. სულ მეგონა, რომ ხუმრობდნენ და მამაჩემი ჩვენ არაფრით არ მიგვატოვებდა, მაგრამ მოვტყუვდი. უკვე მესამე თვეა, მამაჩემი ჩვენთან არ მოსულა. ის ოჯახში ძალიან დაგვაკლდა. ერთხელაც არ დაურეკავს, თავისი ერთი ნივთიც კი არ წაუღია. ყველაფერი ისევ ისე აწყვია, როგორც მისი სახლიდან წასვლის ბოლო დღეს. ხანდახან ეჭვიც კი მეპარება, იქნებ ცოცხალი აღარც არის. არ მინდა, დავიჯერო, რომ მამამ, რომელიც ჩემი და ჩემი ძმის მზეც ფიცულობდა, ასე მიგვყარა და იმ კახპას გაეკიდა, რომელიც ჩვენი ოჯახის საუკეთესო მეგობრად მიგვაჩნდა.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასაინგებლო ირჩევები

*hffqbpbfyt,smfkt,cvfvfrfwt,ib0*

თურმე მამაკაცები იმ იდუმალ კითხვებზე ცდილობენ პასუხები იპოვონ, რომლებსაც ქალები მათი მისამართით ყველაზე ხშირად სვამენ. მრავალწლიანი მუშაობისა და კვლევების ჩატარების შემდეგ, ფსიქოლოგებმა ის მთავარი შეკითხვები დაადგინეს, რომელთა დასმა მამაკაცებს ქალებისთვის ყველაზე მეტად ერიდებათ. კითხვებთან ერთად, ფსიქოლოგებმა მათი პასუხებიც შეიმუშავეს.

მაშ ასე:

**1. რატომ ხვდებიან ქალები ყოველთვის მამაკაცის ტყუილს?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ამ დროს მამაკაცებს ხშირად თვალის ფერი ეცვლებათ, სახეზეც წამოწითლდებიან ხოლმე და ცხვირსაც ჩვეულებრივზე ხშირად იფხანენ.

**2. რატომ ელოდება შეყვარებული ქალი მუდამ მამაკაცის სატელეფონო ზარს?**

პასუხი: — იმიტომ, რომ შეყვარებული ქალი თავის თავს კონტროლს ვერ უწევს და ეშინია, რამე არასასურველი არ წამოსცდეს. მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული ქალი პირველი არ რეკავს შეყვარებულ მამაკაცთან, ის ტელეფონთან ყოველთვის ახლოს არის იმ იმედით, იქნებ საყვარელმა მამაკაცმა დარეკოსო. ის ხომ დაჰპირდა საყვარელ ქალს, დაგირეკავო. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე თავად მამაკაცია. ისინი მაქსიმალურად უნდა ეცადონ, საყვარელ ადამიანს ცრუ დაპირება არ მისცენ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ როცა ქალს უყვარს, ის, უბრალოდ, ძალიან სულელია.

**3. რატომ ატარებენ ყველაზე დიდ დროს ქალები სამზარეულოსა და აბაზანაში?**

პასუხი: — იმიტომ, რომ მთელი დღე ისინი საყვარელ მამაკაცს ემსახურებიან, რადგან მამაკაცები ჭამაში საკმაოდ პრეტენზიულები არიან, მათ ყოველთვის შიათ და ვერ იტანენ ჭუჭყიან ტანსაცმელს. ასეთ შემთხვევაში მამაკაცს წუწუნი არ შეშვენის. საყვარელი ქალბატონი დიდად მადლიერი დაგრჩებათ, თუკი მას სამზარეულოსა და აბაზანაში თანამედროვე ტექნიკით მომარაგებთ. თუკი ასე მოიქცევიან მამაკაცები, ქალებიც სამზარეულოსა და აბაზანაში ნაკლებ დროს გაატარებენ და მეტ დროს თავის საყვარელ ობიექტს დაუთმობენ.

**4. რატომ იწყებენ ჩურჩულს ქალები დაქალების გარემოცვაში, როცა მამაკაცი გამოჩნდება?**

პასუხი: — იმიტომ, რომ როცა დაქალები საუბრობენ, მამაკაცებს ჰ გონიათ, რომ სასაუბრო ობიექტი სწორედ ისინი არიან. ასეთ შემთხვევაში მამაკაცებს სიმშვიდე მართებთ — დაქალები საათობით ნამდვილად არ განიხილავენ მამაკაცის სექსუალურობას. კაცებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ქალები ასეთ თემებზე ერთმანეთს თვალებით ესაუბრებიან. ნებისმიერ ქალს გარეგნულად ეტყობა, გვერდით როგორი მამაკაცი ჰყავს. ქალები განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ მაშინ, თუ ბედნიერები არიან. ასე რომ, თუ მამაკაცის პარტნიორი ქალი გაუთავებლად ლაპარაკობს, ე.ი. ის თავის საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობით კმაყოფილია.

**5. რატომ არ იცინიან ქალები მამაკაცების მოყოლილ ანეკდოტებზე?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ქალებს არ ესმით მამაკაცური ანეკდოტები, რომელთა ძირითადი თემაა მეძავები, სიდედრები და სასმელი. მამაკაცები საკმაოდ მარტივი არსებები არიან. მათ ერთსა და იმავე ანეკდოტზე ათასჯერ გაცინება შეუძლიათ.

**6. რატომ უყვართ ქალებს იდიოტური მეტსახელების შერჩევა მამაკაცებისთვის?**

პასუხი: — იმიტომ, რომ მათთვის ეს უფრო რომანტიკულია. არადა, მამაკაცებს მიაჩნიათ, რომ ეს მეტსახელები იდიოტობაა და მეტი არაფერი. თავის მხრივ, დაფიქრება მამაკაცებსაც მართებთ — რატომ უყვართ თავისი საყვარელი ქალებისთვის ფისუნიას დარქმევა?

**7. რატომ აქვთ ქალებს ცივი ფეხები?**

პასუხი: — ამ შეკითხვაზე პასუხი ყველაზე მარტივია. ნებისმიერმა მამაკაცმა ჩაიცვას თხელი წინდები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და გავიდეს გარეთ — პასუხი მაშინვე თვალნათელი გახდება.

**8. რატომ არ კითხულობენ ქალები ტექნიკის შეძენისას ინსტრუქციას?**

პასუხი: — იმიტომ რომ არც ერთი ქალი ვალდებული არ არის, ელექტროტექნიკაში გარკვეული იყოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მის გვერდით მამაკაცია. თუ მამაკაცი ელექტროტექნიკაში კარგად ერკვევა, ამ დროს მამაკაცი ქალის თვალში საკმაოდ ძლიერია.

**9. რატომ არ ამბობენ ქალები, კონკრეტულად რა სურთ მამაკაცებისგან?**

პასუხი: — ქალები ყოველთვის ამბობენ, რა სურთ მამაკაცებისგან, უბრალოდ, მამაკაცები ხშირად ტყუვდებიან. ფსიქოლოგები ქალთან ურთიერთობისას მამაკაცებს ერთ რამეს ურჩევენ — მოიქცნენ ისე, როგორც ქალი იქცევა: თუ ქალი მამაკაცს აკოცებს, მანაც იგივე უნდა გააკეთოს, თუ გაუღიმებს, მამაკაცმაც უნდა გაუღიმოს და ასე.

**10. რატომ უყვართ ქალებს გამუდმებით კითხვა — გიყვარვარ?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ქალი ყოველთვის უნდა იყოს დარწმუნებული მამაკაცის სიყვარულში. ამავე დროს, ქალს სურს დარწმუნდეს თავისი არჩევანის სისწორეში. სტატისტიკურად ცნობილია, რომ რომანტიკულ ურთიერთობებს ყველაზე ხშირად მამაკაცები წყვეტენ. ასეთ დროს გამოდის, რომ ამ



პერიოდში ქალი სიცრუეში ცხოვრობდა. აქედან დასკვნა — ქალი იმიტომ სვამს ამ კითხვას ყველაზე ხშირად, რომ მიიღოს არა პასუხი, არამედ კონკრეტული ქმედება.

**11. რატომ არ ურიგდებიან პირველები ქალები მამაკაცებს?**

პასუხი: — ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ქალი, სულ რომ დამნაშავე იყოს, დამთობაზე მაინც არ წავა. ვინაიდან მამაკაცები მათზე პრივილეგირებულები არიან, შერიგების პირველი ნაბიჯიც მათ უნდა გადადგან.

**12. რატომ ტირიან ქალები უმიზეზოდ?**

პასუხი: — ეს შეკითხვა უკვე შეცდომაა, რადგან, ფსიქოლოგების აზრით, ქალები უმიზეზოდ არასოდეს ტირიან. როცა ქალი ტირის, ე.ი. მას გულში სიმძიმე აქვს და მისგან გათავისუფლება სურს. ხშირია, როცა ქალები მამაკაცების თანდასწრებით ტირიან. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მათი ცრემლები მამაკაცებმა შეამჩნიონ და ამაში საკუთარი თავი დაადანაშაულონ.

**13. რატომ ქმნიან ავარიულ სიტუაციებს უმეტესად ქალი მძღოლები, ვიდრე მამაკაცები?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ქალები საჭესთან სარკეში მხოლოდ იმიტომ იყურებიან, რომ საკუთარი სილამაზით დატკბნენ. ხშირად მანქანის სარკეს ისინი თავის მოსაწესრიგებლად იყენებენ, ავიწყდებათ, რომ საჭესთან სხედან და ავარიულ სიტუაციებსაც ქმნიან.

**14. რატომ ღიზიანდებიან ქალები, თუ მამაკაცს უნიტაზზე სახურავის დაფარება ავიწყდება?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ბინა, სადაც საყვარელ ქალთან ერთად ცხოვრობთ, პირველ რიგში სასტუმრო არ არის, რომ სასტუმროს ნომრის დამლაგებელმა მამაკაცის მიერ უყურადღებოდ დატოვებული წვრილმანები მოაწესრიგოს.

**15. რატომ უნდება ქალს, ერთი კვირის გაცნობილ მამაკაცს ცოლად გაჰყვეს და ერთ წელიწადში უკვე შვილი გაუჩინოს?**

პასუხი: — იმიტომ რომ, ერთ კვირაში ქალი ვერ შეძლებს ბავშვის გაჩენას. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ქალების უმეტესობა ბავშვის გაჩენას მხოლოდ ოჯახის შექმნის შემდეგ ცდილობს.

**16. რატომ არ უყვართ ქალებს ნასვამი მამაკაცები?**

პასუხი: — ცნობილი ფაქტია, რომ ნასვამ მამაკაცს მისი საყვარელი ძაღლიც კი უყეფს და, რა გასაკვირია, რომ საყვარელ ქალს არ მოეწონოს მამაკაცი ასეთ მდგომარეობაში. ქალისთვის ნასვამი მამაკაცი ყოვლად უსარგებლოა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს არ შეუძლია ქალის რომანტიკული სურვილების დაკმაყოფილება.

**17. რატომ უყვართ ქალებს აგმოთქმა „ჩემი კაცი"?**

პასუხი: — იმიტომ, რომ, როცა ქალი მამაკაცს „ჩემს" უწოდებს, ეს იმის მანიშნებელია, რომ ის მამაკაცს საკუთარ თავს სთავაზობს.

**18. რატომ არ შეუძლიათ ქალებს ტელეფონზე მოკლედ საუბარი?**

პასუხი: — იმიტომ, რომ ნებისმიერ ახლადნაყიდ აქსესუარს ასაღწერად სულ ცოტა ერთი საათი სჭირდება. ამ დროს მამაკაცმა უნდა წარმოიდგინოს, რამდენ ხანს განიხილავს მამაკაცი ძმაკაცთან დოლარის კურსის თემას. თუ დროს დაინიშნავთ, აღმოჩნდება, რომ ქალიც და მამაკაციც თანაბარი რაოდენობით საუბრობენ.

**19. რატომ უყვართ ქალებს ყვავილები?**

პასუხი: — იმიტომ რომ ეს მამაკაცებს ჰგონიათ ასე. კარგად დაფიქრდნენ, იქნებ ქალები უბრალოდ ყვავილებს კი არა, ბრილიანტებს და ძვირფას ქურქს ელოდებიან საყვარელი მამაკაცისგან?

**20. რატომ ანდომებენ ქალები თავის მოწესრიგებას დიდ დროს?**

პასუხი: — იმიტომ, რომ იმ მომენტში, როცა ქალი ამას ამბობს, თუ მამაკაცი კარგად შეხედავს, ამ დროს ქალი, უბრალოდ, საცვლების ამარაა და სურს, მამაკაცმა მის ეროტიკულობას გაუსვას ხაზი.

**თიკო ნინიაშვილი**

## განცხადებები

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ღამის ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მაღალკვალიფიციური პროფესორმასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.

● ინგლისურ ენას ვასწავლი ყველა ასაკის მსურველს ტრადიციული მეთოდით, ნელი ტემპით, მაღალ სამეცნიერო დონეზე, ათვისების დაბალუნარიანებსაც. ტელ: 295-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა პრესტიჟულ სახლში, მარჯანიშვილის მოედანზე, სამისდღემშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 295-32-12.

## ორშაბათი 3 ოქტომბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი სასწაულები 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" 17.30 სილამაზის ფორმულა 18.00 მედ-ინფო 19.05 დოკ. ფილმი "ბიტლზების ქალები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი "დაუვიწყარი" (18) (რ. ლიოტა) 03.10 მოამბე 03.30 ცხოვრება მშვენიერია 04.30 საფეხბურთო მიმოხილვა

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი "მოუსვენარი ბავშვები პარიზში" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" (12) 20.00 მხ. ფილმი "დანაშაული და გადაცდომანი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 მხ. ფილმი "შესასვლელი და გამოსასვლელი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 1-ლი ს. 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 ჯეოსტარი 23.30 მხ. ფილმი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" მე-6ს. 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.15 მხ. ფილმი "წინასწარმეტყველი" (12) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) 03.10 მხ. ფილმი "იტალიური ისტორია" (15) (მ. ბელუჩი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა" მე-8ს.

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "მონტალბანო" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი "ცხელი ზაფხულის სამი დღე" 12.30 კონცერტი – ლ. ნემსაძე 1-ლი ნ. 15.25 სპექტაკლი "პეპო" 16.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "გაზაფხული გაღმის" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "ქართული ჰანგის კვალდაკვალ" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 4 ოქტომბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.30 აღმოაჩინე საქართველო 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00, 03.25 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი "ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი" 01.20 მხ. ფილმი "დაუვიწყარი" (18) 04.25 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "ჩვენი სახლი" 02.00 მხ. ფ. "ლარა კროფტი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ჯეოსტარი 23.00 თქვენი შოუ 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" მე-7ს. 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 მხ. ფილმი "ევროტური" (15) (ს. მეჰლოვიჩი) (სუბტ.) 01.45 მხ. ფილმი "ილაის წიგნი" (15) (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი "დამცველი" (12) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა" მე-9ს.

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 მხ. ფილმი 15.30 დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "მონტალბანო" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 სახლი ბათუმში 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ქართული ჰანგის კვალდაკვალ" 10.50 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "გაზაფხული გაღმის" 13.35 კონცერტი – ლ. ნემსაძე, მე-2ნ. 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი "ოქროს ობობა" 1-ლი ს. 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "ქართული მულტიპლიკაციის თავგადასავალი" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ალყა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 ირაო 01.30 კონცერტი – ჰოროვეცი

## ოთხშაბათი 5 ოქტომბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 მეხსიერება 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი 17.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფ."რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 ევროპული არჩევანი 23.30 აივანი 00.00 მხ. ფილმი "უნივერსიტეტელი ლურჯები" (12) (ჯ. ვოითი) 01.50 მოამბე 02.10 ევროპული არჩევანი 03.30 მხ. ფ."ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი" 05.30 ჩვენი ეზო

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "სოციალური მკვლელობა" 02.00 მხ. ფილმი "უკან დედამიწაზე"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" მე-7ს. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" მე-8ს. 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."ევა ლუნა" 1-ლი ს. 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 ფლეშმობშოუ 00.50 თბილისი ლაივი 01.30 მხ. ფილმი "ამერიკელი ცოლი" (ჯ. ბილი) (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი "ობობა" (18) (რ. ფაინსი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა" მე-10ს.

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "მონტალბანო" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ალყა" 13.45 კონცერტი – ჯ. ბაგრატიონი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფილმი "ოქროს ობობა" მე-2ს. 16.30 დოკ.ფ."ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.35 მხ. ფ. "წკიპურტები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.15 ქართული ალბომი 22.30 მოკლ. ფილმი "საერთო კედელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 01.30 კონცერტი – ჯეიმს ლასტი

## ხუთშაბათი 6 ოქტომბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" 18.00 მედ-ინფო 18.30 ჩვენი ფერმა 19.00 დოკ. ფილმი "დედამიწა: პლანეტის ძალა" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "მარგო ქორწილში" (18) (ნ. კიდმანი) 02.40 მოამბე 03.00 არენა 04.00 მხ. ფილმი "უნივერსიტეტელი ლურჯები" (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერიალი "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "ჩემი სიკვდილის შემდეგ" 02.00 მხ. ფილმი "პრესიდიო"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი "როსალინდა" 11.00 სერიალი "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერიალი "ავრორა" 18.45 სერიალი "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 პროფილი 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერიალი "მოპარული ბედნიერება" მე-8ს. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 11.40 სერიალი "ქალის სიტყვა" 1-ლი ს. 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" მე-9ს. 16.00 სერიალი "მეტოქეები" 17.40 სერიალი "ევა ლუნა" 18.40 სერიალი "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერიალი "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 მუს. ლიგა (გან.) 01.20 რემონტი 01.50 მხ. ფილმი "კომანდო" (15) (სუბტ.) 03.50 მხ. ფილმი "ღვთის გამოგზავნილი" (15) (გ. კინეარი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა" მე-11ს.

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერიალი "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 17.10 სერიალი "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერიალი "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.00 სერიალი "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "მონტალბანო" 12.50, 19.35 სერიალი "დაშნების დედოფალი" 15.15 სერიალი "ექიმი ქმორი" 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ."წკიპურტები" 13.30 კონცერტი – ანს. "ფესვები" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "ოქროს ობობა" მე-3ს. 16.35 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "აურზაური სალხინეთში" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.20 დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის გაგრძ. 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – ანდრის რიე

## პარასკევი 7 ოქტომბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 არენა 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი "შეუდარებელი ადამიანი ობობა" 18.00 დამზადებულია საქართველოში 18.30 ჩვენი სამართალი 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი "პოლკოვნიკი რედლი" (15) (სუბტ.) 02.20 მოამბე 02.40 ქართული დოკუმენტალისტიკა 03.30 მხ. ფილმი "მარგო ქორწილში" (18) (ნ. კიდმანი) 05.00 მხ. ფილმი "მკვლელის ინსტინქტი" (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "მთვარის ყურის მეფე-დედოფალი" 02.00 მხ. ფილმი "ჩურჩული ღამით"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "როსალინდა" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ჯეოსტარი (გან.) 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "მოპარული ბედნიერება" მე-9ს. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.50 ქრონიკა 11.40 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ყავა და ლუდი" მე-10ს. 15.10 ბოიარის ციხესიმაგრე 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 თოქ-შოუ 00.30 2011 წლის სილამაზის საერთ. კონკურსი 02.00 ფლეიბოი იმედზე 02.55 მხ. ფ."სიცილიური კლანი" (ა. დელონი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა" მე-12ს.

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 მხ. ფილმი 15.30 დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" 16.00 გუნდი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "მონტალბანო" 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "აურზაური სალხინეთში" 13.30 კონცერტი – მ. ჩარკვიანი 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი "ოქროს ობობა" მე-4ს. 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი "გლახის ნაამბობი" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ქართველი ლეგიონერი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე

## შაბათი 8 ოქტომბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი ბუბუ 08.55 რაგბი. მსოფლიო თასი. პლეიოფი 10.45 საბ. ფილმი "მოუსვენარი ბავშვები" 11.25 რაგბი. მსოფლიო თასი. პლეიოფი 13.15 მხ. ფილმი "სამი სურვილი" 15.20 ძველი აფიშა – მეტეხის ჩრდილში 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 16.30 კონცერტი. გ. სალარაძის საიუბილეო საღამო 18.00 ჩემპიონთა ლიგის დღიური 18.30 ქართ. ფ. "ეი მაესტრო" 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 "კავკასიუს ლაივი" 23.00 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი ექვმიტანილები" (15) (კ. სპეისი) (სუბტ.) 00.55 მოამბე 01.15 წითელი ზონა 02.15 მხ. ფილმი "პოლკოვნიკი რედლი" (15) 04.40 მხ. ფილმი "საზღვრებს მიღმა" (ჯ. პრისტლი)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.30 სპექტაკლი "ისინი თამაშობდნენ ჯინს" 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი "გამცილებლები და დამხვდომები" 22.00 კონცერტი—გ. სალარაძის საიუბილეო საღამო 23.25 მხ. ფილმი "სიეფორდელი ცოლები" 01.00 დოკ. ფილმი "ვუდსტოკი. მშვიდობისა და მუსიკის სამი დღე"

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი" 10.00 სერ. "გაორება" 1-ლი სეზონი 11.00 ყველაზე ჭკვიანი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 ჯეოსტარი 00.00 შუადღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.30 მხ. ფილმი "პრინცესას თავგადასავალი" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" 11.45 ან. ფილმი "წითელქუდას ნამდვილი ამბავი" 12.35 სერ. "ქალის სიტყვა" 14.30 რემონტი 15.00 ბათუმი ლაივი 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 ლიტ. კონკურსი "გალას" დაჯილდოების ცერემონიალი 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 "ფლეშმობშოუ" 00.20 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 01.30 ფლეიბოი იმედზე 02.25 მხ. ფილმი "შურისძიება" (15) (კ. კოსტნერი) (სუბტ.) 04.25 სერ."საიდუმლო აგენტი" 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 11.30 პულსი 12.00 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ქეტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 სერ. "მონტალბანო" 13.15 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.00 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 21.00 სერ."სოპრანოს კლანი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 დოკ. ფ. "ნოქალაქევი" 10.50 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "გლახის ნაამბობი" 13.30 პერსპექტივა 15.05 ოპერა "რიგოლეტო" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.35 მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 "შარავანდედი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ვარძია" 00.35 დოკ. ფილმი "კინო და წლები" 1-ლი ნ. 01.45 კონცერტი

## კვირა 9 ოქტომბერი

08.00 პლანეტა ბასტი ბუბუ 08.55 რაგბი. მსოფლიო თასი. პლეიოფი 10.45 დოკ. ფილმი 11.25 რაგბი. მსოფლიო თასი. პლეიოფი 13.15 მოკლ. ფილმი "სუფთა დაფა" 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 მოგზაურთა დღიური 16.00, 20.00 მოამბე 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 ბალეტი "გედების ტბა" 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 კავკასიუს ლაივი 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 მხ. ფილმი "რომეო და ჯულიეტა" (12) (ო. ჰაასი) (სუბტ.) 02.10 ვ. სანაიას რეპორტაჟი 03.10 მხ. ფილმი "ჩვეულებრივი ეჭვმიტანილები" (15) 05.00 მხ. ფილმი "მოულოდნელი სიყვარული"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 წითელი ზონა 23.00 მხ. ფილმი "პოლკოვნიკი რედლი" (15) 01.15 მხ. ფილმი "კუს წვნიანი"

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 ან. ფილმი "განძის პლანეტა" 10.00 სერ. "გაორება" 1-ლი სეზონი 11.00 საბავშვო ამბები 11.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. "სიამაყე" 18.30 სიცილის ზონა 19.00 ყველაზე ჭკვიანი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 23.30 კონცერტი 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.30 მხ. ფილმი "მხიარული რომანი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" 11.45 ან. ფილმი "წითელქუდას ნამდვილი ამბავი" 12.35 სერ. "უკანასკნელი მოწმე" მე-11ს. 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.00 სერ. "სოფიას სახლი" 17.40 ეტალონი 18.40 იუმორინა 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 ღამის შოუ 00.00 კონცერტი 01.30 მხ. ფილმი "მისტერ და მისის სმითები" (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) 03.55 სერ. "საიდუმლო აგენტი" 04.35 მხ. ფილმი "საშობაო ამბავი" (პ. კრუსი) (სუბტ.) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 11.30 პულსი 12.00 სერ. "დაკარგული ქვეყანა 2" 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "მისი სულის მუსიკა" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ქეტაფეტა 12.40, 21.00 სერ. "სოპრანოს კლანი" 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. "ექიმი ქმორი" 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

თბილისის ტაძრები 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.25 დოკ. ფილმი "კინო და წლები" 1-ლი ნ. 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი" 13.30 ქართ. მულტფილმები 14.05 შარავანდედი 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 მხ. ფილმი "ქრისტინე" 16.20 აქტუალური თემა 16.40 საღვისმეტყველო საუბრები 17.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "ერთი ნახვით შეყვარება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 ივერიის ღვთისმშობლის ხატი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 ოპერა "რიგოლეტო"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ვინ ჩაიყვანა არძინბა მოსკოვიდან სოხუმში



გულიკო ბალა ე

დღეს საზოგადოების განსჯის საგნად კვლავ რჩება სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის დაკარგვის გარემოებები (27 სექტემბერს სოხუმის დაცემას 30 სექტემბერს გალზე და მთლიანად აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვა მოჰყვა), თუ რატომ ვერ მოახერხა იმჟამინდელმა სამხედრო პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება.

სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. ქვეყნის მაშინდელი უმაღლესი მთავარსარდალი აფხაზეთის დაკარგვას ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს აბრალებს. სამხედრო ხელმძღვანელობის ნაწილი აცხადებს, რომ მიზეზი აფხაზეთში მყოფი სამხედრო ნაწილების განიარაღება იყო. ზოგი აფხაზეთის დაკარგვის მიზეზად საერთოდ აფხაზეთში ომის დაწყებას მიიჩნევს.

უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია კი აფხაზეთის ომის დასასრულის ტრაგიკულ თარიღებთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს და აფხაზეთის დაკარგვის უმთავრეს მიზეზად 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას და მის თანმდევ მოვლენებს მიიჩნევს.

— ახალს არ ვიტყვი, თუ განვაცხადებ შემდეგს: საქართველოს დეოკუპაციის პროცესი სამართლებრივად დაიწყო 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცნობილი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე. საქართველოს დეოკუპაციის შემდგომი ნაბიჯი 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ხელისუფლების მიერ 1991 წლის სექტემბერში საბჭოთა ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭება იყო. პარალელურად ნელ-ნელა საქართველოში სიტუაცია მწვავდებოდა. საქართველოში ცენტრის, ანუ მოსკოვის მიერ ინსპირირებული კონფლიქტი ღვივდებოდა — სტიმულირდებოდა, როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე ეთნიკური კონფლიქტები. ამის ერთგვარი აპოგეა იყო საქართველოს დეოკუპაციის პროცესის შეჩერება 1991 წლის 2 დეკემბერს სახელმწიფო გადატრიალების დაწყებით.

მას შემდეგ, როდესაც საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა, დაძაბულობის სიმწვავემ უფრო მეტად თავი იჩინა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. აფხაზეთი დაიკარგა მაშინ, როცა დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება თბილისში. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მოსულმა ძალებმა ყველაფერი გააკეთეს აფხაზეთში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის პროვოცირებისთვის, — ასკვნის მამუკა გვაძაბია.

— ***ბატონო მამუკა, თბილისში მოწყობილი გადატრიალება, ფაქტობრივად, რუსეთ-საქართველოს ომის პირველი ეტაპი იყო. მგონი, დღეს ეჭვი აღარავის ეპარება, რომ სახელმწიფო გადატრიალებაში რუსეთი მონაწილეობდა. რატომ ამახვილებთ ყურადღებას ეთნიკურ მხარეზე?***

— ეთნიკურად შენილბვისა და აფხაზებთან კონფლიქტის გარეშე გადატრიალება ისე ლამაზად, როგორც კრემლს აწყობდა, ვერ მოხდებოდა. კრემლისთვის წამგებიანი იყო შენილბვის გარეშე ღიად მოქმედება. რუსებს სჭირდებოდათ აფხაზეთში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი. ცხადია, სამხედრო გადატრიალება თბილისში მოსკოვის ჩარევით მოხდა. გადატრიალების მოწყობისთვის მოსკოვში სამხედორო შტაბიც არსებობდა, რომელსაც ბურბულისი ხელმძღვანელობდა. კრემლმა გამოყო ძალიან დიდი ოდენობით თანხა, მონაწილეობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ბეპაევი. ისინი იარაღით ამარაგებდნენ ე.წ. პუტჩისტებს. ამიტომ გასაგებია, ვისი დიქტატის ქვეშ კეთდებოდა ყველაფერი. გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის დასაწყისი და შემდგომი ეტაპი იყო აფხაზეთში საომარი მოქმედებებისათვის მზადების პერიოდი, ანუ გადატრიალებისა და აფხაზეთში ომის შედეგად მივიღეთ საქართველოს დეოკუპაციის პროცესის საბოლოოდ შეჩერება. პირიქით, გადატრიალებას მოჰყვა საქართველოში საოკუპაციო ჯარების დაკანონება, კერძოდ, აფხაზეთში და ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე დაკანონების მცდელობა. საბედნიეროდ, სხვაგან არ გამოვიდა. აფხაზეთში საოკუპაციო ჯარებს მიენიჭათ კანონიერი ლეგიტიმური სტატუსი სამშვიდობოების სახით.

1992 წლის დასაწისი და მისი შემდგომი პერიოდი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბიკაში სიტუაციის ესკალაციის პერიოდი იყო. დღეს მიღებულია, რომ ერთ ადამიანს, ედუარდ შევარდნაძეს ბრალდება ყველაფერი. რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძე მთავარი დამნაშავეა, მაგრამ თავისი მარიონეტების, გივი ლომინაძის, ლომინეიშვილის, ნადარეიშვილის, ავთანდილ იოსელიანისა და კონგრესის მომხრე ოპოზიციის გარეშე შევარდნაძე ვერაფერს გააკეთებდა. მათ შორის, უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატიც უწყობდა ხელს. ეს ადამიანები კვირაში რამდენჯერმე დადიოდნენ თბილისში და კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ აუცილებელი გახლდათ სამხედრო ძალის შეყვანა აფხაზეთში. ამის თაობაზე საბუთები ხელისუფლების სტრუქტურებშიც არის არქივებში.

— ***მიზეზად აფხაზეთში ქართველების შევიწროვებას ასახელებდნენ.***

— ქართველები შევიწროვებას იმპერიისაგან ყოფელთვის განიცდიდნენ, მაგრამ იმ პერიოდში ქართველები ისე ძლიერად იყვნენ აფხაზეთში, რომ აფხაზებისგან ვერ შევიწროვდებოდნენ. მათი მიზანი აფხაზეთში არსებული მაშინდელი ორგანიზებული ოპოზიციის ლიკვიდაცია იყო. საომარი მოქმედებების დაწყების წინა პერიოდში მოხდა ვითარების ძალიან სერიოზული ესკალაცია. მათ შორის, გზების გადაკეტვა, ქართული დროშების ჩამოგლეჯვა-დახევა ისევ ქართველების მიერ, რასაც აკეთებდა აფხაზეთის უშიშროების სამსახური და აფხაზეთის შს სამინისტრო, რომელსაც ქართველები აკონტროლებდნენ. გაიყო უნივერსიტეტი, ქართული თეატრი. ეს ხდებოდა, მათ შორის, ეროვნული მოძრაობის ძალებში მოკალათებული აგენტურის მეშვეობითაც.

— ***ხსენებული ძალები თბილისიდან იმართებოდნენ?***

— რა თქმა უნდა, თბილისიდან იმართებოდნენ. როგორც ქართველების, ასევე აფხაზების პოზიციების რადიკალიზაცია მოხდა. ქართველები ამბობდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაველაპარაკოთ აფხაზებს. აფხაზები გვეძახოდნენ ოკუპანტ ქართველებს. ორივე მხარის რადიკალიზაციას სპეცსამსახრები უწყობდნენ ხელს, რათა მათ შორის კონსენსუსის გამონახვა შეუძლებელი ყოფილიყო. გარკვეულწილად, ამის აპოგეა იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის მიერ სხდომების მიტოვება. ეს არ გახლდათ ბოიკოტი. ბოიკოტი ნორმალური პოლიტიკური პროცესია. ქართულმა ფრაქციამ მიატოვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და ცალკე, სტალინის აგარაკზე დაიწყო ფუნქციონირება შს სამინისტროსთან ერთად. ეს იყო უშუალოდ თბილისიდან წამოსული შევარდნაძის ინიციატივა, რომლის აღმსრულებლები ადგილზე იყვნენ გივი ლომინაძე და მისი ბანდა ე.წ. დირექტორიის სახით. დირექტორიას წარმოადგენდნენ ე.წ. საკავშირო დაკავშირების ობიექტების ხელმძღვანელები. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, რა თქმა უნდა, სუკის კადრი იყო. რა თქმა უნდა, სუკის კადრი იყო „სოხუმხელსაწყოს" ხელმძღვანელი და ა.შ. როცა ასეთ განცხადებას ვაკეთებ და იმ ადამიანებს ვადანაშაულებ, ჩემს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მაგრამ არ ვამბობ, რომ ადამიანებს აუცილებლად უნდოდათ ადგილობრივი მოსახლეობის გამოყრა აფხაზეთიდან და აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოგლეჯვა. ისინი ასრულებდნენ მოსკოვისა და სპეცსამსახურების დავალებას, რათა მთელი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში დარჩენილიყო. გავლენის შესანარჩუნებლად ყველაზე ძლიერი ბერკეტი იყო აფხაზეთი.

— ***როდესაც საუბარია სოხუმის დაცემის, აფხაზეთის დაკარგვის მთავარ მიზეზებზე, თქვენ მთავარ ფაქტორად სახელმწიფო გადატრიალება მიგაჩნიათ?***

— მთავარ მომენტად მიმაჩნია საქართველოს დეოკუპაციის პროცესის შეჩერება სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით.

— ***მიუხედავად გადატრიალებისა, საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას არ შეეძლო აფხაზეთის ომის აცილება?***

— შევარდნაძის ხელისუფლების ერთადერთი ხსნა აფხაზეთში ომის დაწყება იყო. შევარდნაძემ აფხაზეთში ომის დაწყებით რამდენიმე კურდღელი დაიჭირა — აფხაზეთში გაანადგურა ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიცია და თბილისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრი აფხაზეთში გადაიტანა, ანუ რა დროს თბილისია, რა დროს შევარდნაძის ხელისუფლების ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობაზეა საუბარი, როდესაც აფხაზეთში სამამულო ომი მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთში შევარდნაძის რეჟიმს ეთანხმებოდა თუ არა ვინმე, იძულებული იყო, ნებით თუ უნებლიეთ ჩართულიყო ამ ომში. მაშინ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებისთვის იყო ასეთი დირექტივა, ჩვენ ამ ომში არ ჩავერიოთო. ზუგდიდში დაუმორჩილებლობის კომიტეტის სხდომაზე ვთქვი — თუ ჩვენ ამ ომში არ ჩავერევით, გარანტირებული უნდა გვქონდეს შევარდნაძეზე გამარჯვება. ის ძალა, რომელიც საბოლოოდ შევარდნაძეზე გაიმარჯვებს და თუ შევარდნაძის რეჟიმი დამარცხდება, ჩვენ, როგორც საქართველოს გამაერთიანებლებს, აფხაზებთან მისვლა შეგვეძლება. ოღონდ, თუ ჩვენ დავმარცხდით, მაშინ მოღალატეებს დაგვიძახებენ და ეს გარკვეული დროის განმავლობაში იმუშავებს-მეთქი.

— ***სოხუმის დაცემასა და აფხაზეთის დაკარგვას შევარდნაძე დღეს სწორედ ზვიადისტებს აბრალებს.***

— აბა, შევარდნაძე ვის დააბრალებს? შევარდნაძე ყველას აბრალებს თავისი თავის გარდა. ის პროპაგანდა, რომელზეც მაშინ მე ვსაუბრობდი, დღესაც მოქმედებს, მიუხედავად იმისა, ზვიად გამსახურდიას მომხრეები ომში ჩართულები იყვნენ და იბრძოდნენ. შევარდნაძე ამბობს, ბრძანება მე არ გამიციაო, მაგრამ ცნობილია, რომ 75 კაციდან 73-მა ხმა მისცა აფხაზეთში ჯარის შეყვანას. მხოლოდ ორი კაცი, ჯანსუღ ჩარკვიანი და ჯაბა იოსელიანი იყვნენ აფხაზეთში ჯარის შეყვანის წინააღმდეგი. აფხაზეთში ჯარის შეყვანით შევარდნაძემ 10 წლით გაიხანგრძლივა არსებობა. ამბობდნენ, თითქოს შევარდნაძემ ჯარები შეიყვანა კომუნიკაციების დასაცავად. არადა, ჩემი თვალით მინახავს, აფხაზეთის შს სამინისტროსა და უშიშროების წარმომადგენლები გზებსა და რკინიგზებზე სპეციალურად პროვოკაციებს როგორ აწყობდნენ, რათა შემდეგ ყველაფერი ზვიადისტებისთვის ადვილად გადაებრალებინათ. ზვიადისტებშიც იყვნენ არაკეთილსინდისიერი, კრემლის ჩანერგილი ადამიანები. სახელმწიფო საბჭოს ჯარებს მე ბანდიტებს ვუწოდებ. თუმცა, გვარდიაშიც, მხედრიონშიც, სპეცსამსახურებშიც და პოლიციაშიც იყვნენ კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც მართლა იცავდნენ საქართველოს ინტერესებს. უნდოდათ მათ მისცემოდათ ლეგიტიმური სტატუსი. მიზანი იყო კონფლიქტის პროვოცირება, რათა შევარდნაძეს არჩევნები ჩაეტარებინა და ლეგიტიმურობა ეგრძნო მთელ აფხაზეთში. შევარდნაძე ერთი ხელით ამას აკეთებდა, მეორე ხელით რუსეთის დავალებას ასრულებდა. ორ მნიშვნელოვან მომენტს მინდა ხაზი გავუსვა — ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა, ბევრმა აფხაზმა თავისი სახლ-კარი არ დატოვა. როდესაც ქართველები მივიდნენ, სისხლის გუბეები დააყენეს. სოხუმში დარჩენილ რამდენიმე აფხაზს ცემაში ამოხადეს სული. ასეთი რამდენიმე ფაქტი მოხდა. რატომ კეთდებოდა ეს?

— ***დარწმუნებული ხართ, რომ ასე იყო? ასეთ განცხადებებს რატომ აკეთებთ?***

— ვიცი, რომ ასე იყო. ჩემ სიტყვებზე პასუხს ვაგებ. საომარი მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, მხედრიონის რამდენიმე ათეული გაიგზავნა მოსკოვის ოლქში, მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ ბალაშიხაში. ბალაშიხაში არის სპეციალური დანიშნულების რაზმების მოსამზადებელი ობიექტი. ამ ადამიანებს წვრთნიდნენ და ასწავლიდნენ, ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, სპეცსამსახურების შეგზავნის შემდეგ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. სოხუმში შესვლის შემდეგ, სწორედ ეს ადამიანები შეუშვეს სოხუმში, ანუ პოლიტიკა იყო ასეთი — ის აფხაზი, რომელიც დარჩებოდა სოხუმში, უნდა გაემწარებინათ — არ უნდა დაეშვათ, რომ ვინმე აფხაზს კარგად მიეღო ვინმე ქართველი, ანუ რაც შეიძლება მეტად უნდა მომხდარიყო პოზიციების პოლარიზაცია. ბალაშიხაში მომზადებულმა სპეცდანიშნულების რაზმმა, რამდენიმე ათეულმა ადამიანმა სოხუმსა და სხვადასხვა ქალაქებში თავისი ბნელი საქმეები გააკეთა.

— ***სამაგიეროდ, შემდეგ აფხაზებმაც ათმაგად გადაუხადეს ქართველებს.***

— რა თქმა უნდა, არძინბა და მისი ხროვა სეპარატისტების ბუდე იყო. სხვათა შორის, არძინბას ჩამომყვანი თბილისში არ უნდა იჯდეს და თავის თავს ლეგიტიმურ დეპუტატს არ უნდა უწოდებოდეს.

— ***ვინ არის არძინბას ჩამომყვანი?***

— არძინბა ჩამოიყვანეს მოსკოვის მითითებით, აფხაზეთში არსებული დირექტორიის ხელშეწყობით, აფხაზეთის მრგვალი მაგიდის თანხმობით.

## სამგლოვიარო განცხადებები



ოჯახის წევრები და ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს მსახიობი

**ანზორ ურდია**

პანაშვიდი: 2, 3 ოქტომბერს.

დაკრძალვა: 4 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: გოგებაშვილის I გასასვლელი, №10.

---

ერეკლე ქიქოძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ლუკა არჩვაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის მშობლებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის თანამშრომელი, ქალბატონი

**გულისა შენგელია**

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---



ი.სურმავა, გ.შველიძე, გ.ლიპარტელიანი, თ.ბოკუჩავა, ვ.ლატარია, ზ.ბუკია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეგობარი

**მორის კუჭავა**

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. თურქული აბანო; 3. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 4. გეომეტრიული ფიგურა; 5. ინგლისის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 7. მდინარე თბილისში; 11. ღრმა ძილის მდგომარეობა; 13. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 15. აზროვნების ორგანო; 16. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. მეტროს სახელწოდება აშშ-ში; 8. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 9. მუსლიმანთა ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული; 10. რჩევა, დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 14. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 21. მასხარა, ლაზღანდარა ადამიანი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 23. კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა ერთობლიობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორიდ ა**

**შვეულად:** 1. ბინეხი; 2. აუდიტი; 3. ნაფტუსია; 4. ალპები; 6. რედისონი; 8. შტურმი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. ლონჟა; 17. სკიჯი; 18. ლუვრი.

**თარაზულად:** 1. ბოქაული; 5. სქური; 7. სამსალა; 9. ეგვიპტე; 10. მესხეთი; 13. მანიანი; 14. ტარანი; 15. ბონი; 19. სექვოია; 20. სკუპჩინა; 21. გალაქტიკა; 22. შამოტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ეშელონი; 2. ჩონჩხი; 3. კიორლინგი; 4. აგრეჟე; 5. ისლანდია; 7. როგი; 11. როტონდა; 13. გლობუსი; 15. მონცა; 16. შერპი; 18. იდიში; 19. კანიო.

**თარაზულად:** 6. შტირია; 8. ბოლნისი; 9. წურბელა; 10. ოტიატრი; 12. პიაფი; 14. ნერუდა; 17. გეოფიზიკა; 20. ბონდერი; 21. მცხეთა; 22. შაპიტო; 23. ციხეგოჯი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**1 ოქტომბერი** ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6613 | ევრო —2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208 | რუსული რუბლი — 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 8-12
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 11-13
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 2-19

ამინდის პროგნოზი 1 ოქტომბრისთვის







## გაზეთ „ახალი თაობის“ 3 ოქტომბრის ნომერთან ერთად გაიყიდება „ქართული მწერლობის საუნჯის“ მეორე ტომი




მასში თავმოყრილია შემდეგი ნაწარმოებები:
1. გიორგი მერჩულე — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
2. გიორგი მთაწმიდელი — იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება
3. ბორენა დედოფალი
4. დავით აღმაშენებელი — გალობანი სინანულისანი
5. არსენ იყალთოელი — დავით აღმაშენებლის ეპიტაფია
6. არსენ იყალთოელი — ძეგლისწერა
7. უცნობი ავტორი — ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
8. დიმიტრი მეფე — ღმრთისმშობლისა
9. დიმიტრი მეფე — შიო მღვიმელისა

ეს წიგნი ყველა ოჯახში უნდა იყოს!


## რუმენიგე: არც ფიფა გვჭირდება და არც უეფა!



ბოლო დროს გერმანიის წამყვანი კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლ ჰაინც რუმენიგე ხშირად ილაშქრებს ფიფასა და უეფას წინააღმდეგ, ხოლო ორიოდე დღის წინ სულაც ისეთი განცხადება გააკეთა, რომელიც საფეხბურთო სამყაროს მამებს ნამდვილად არ მოეწონებოდათ.

— ზოგადად, ფიფა და უეფა საერთოდ აღარ გვჭირდება. თვითონ ფიფას და უეფას კი ძალიან სჭირდებათ კლუბები. დიახ, ეს მათაც ვუთხარი. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფეხბურთის ფესვები საკლუბო ფეხბურთიდან მოდის. ფიფასა და უეფაში ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ფეხბურთის დემოკრატიზება არ მოხდეს, რადგან ეს არც ფიფაში და არც უეფაში არავის აწყობს, — პირდაპირ აცხადებს 56 წლის რუმენიგე და არ მალავს, რომ ეს ყველაფერი ფიფასა და უეფას ბოსებს, ზეპ ბლატერსა და მიშელ პლატინის პირშიც უთხრა.

აღსანიშნავია, რომ რუმენიგე, რომელიც ევროპის საკლუბო გაერთიანების შეფიცაა, ფიფასა და უეფას საკმაოდ დიდი ხანია აკრიტიკებს და ორივე სტრუქტურაში დემოკრატიულ რეფორმებს ითხოვს.

## ვინ არის ტომ კრუზის საყვარელი?



ტომ კრუზს საყვარელი ჰყავს და მას ჯესიკა ჩესტეინი ჰქვია. სწორედ ჯესიკა შეასრულებს ვარსკვლავის შეყვარებულის როლს რეჟისორ ჯოზეფ კოსინსკის ახალ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში, რომლის ოფიციალური სახელწოდება ჯერჯერობით ცნობილი არ არის. 30 წლის ლამაზმანმა ცოტა ხნის წინ მთავარი როლი შეასრულა სურათში □ვალი□, რომელშიც მას პატრნიორობას ისეთი ცნობილი მსახიობები უწევდნენ, როგორებიც ჰელენ მირენი და სემ უორტინგტონი არიან. კრუზისა და ჩესტეინის სასიყვარულო ისტორია ღრუბლებში ვითარდება, რადგანაც დედამიწა საცხოვრებლად უკვე გამოუსადეგარია. მას შემდეგ, რაც ჯესიკა ჩესტეინმა წარმატებით ითამაშა ბრედ პიტთან ერთად ფილმში □ცხოვრების ხე□, რეჟისორები მისით აღფრთოვანდნენ და უამრავი საინტერესო როლიც შესთავაზეს.

*ათბ-ნიუსი*

## ტესტი

## როგორია თქვენი მშობლების როლი თქვენი შვილების აღზრდაში?



***1. თუ თქვენმა შვილებმა ნაყინი მოისურვეს, თუ შეუსრულებენ ბებია და ბაბუა სურვილს.***

ა. აუცილებლად. ბ. იშვიათად. გ. თითქმის ყოველთვის.

***2. ბავშვებმა სათამაშოები დაფანტეს, როგორ მოიქცევა ბებია?***

ა. შენიშვნას მისცემს. ბ. დალაგებას მოითხოვს. გ. თავად დაალაგებს.

***3. როგორ მოიქცევიან ბებია და ბაბუა, თუ შვილიშვილი უხეშ გამოთქმებს ხმარობს.***

ა. აუკრძალავენ. ბ. დასჯიან. გ. ყურადღებას არ მიაქცევენ.

***4. როგორ განამტკიცებენ ბებია და ბაბუა შვილიშვილებში შრომისმოყვარეობას.***

ა. საკუთარი მაგალითით. ბ. მომთხოვნელობით. გ. ნებისმიერი შრომისგან ათავისუფლებენ.

***5. როგორ მოიქცევიან ისინი, თუ შვილიშვილმა სათამაშოს ყიდვა სთხოვათ?***

ა. დაპირდებიან. ბ. ფასს გააჩნია. გ. აუცილებლად უყიდიან.

***6. თუ ასწავლიან ბებია და ბაბუა შვილიშვილს კარგისა და ცუდის გარჩევას?***

ა. ყოველთვის. ბ. ეჩხუბებიან. გ. რომ გაიზრდება, თავად გაარჩევს.

***7. შვილიშვილს მტვრის გაწმენდის დროს შემთხვევით გაუტყდა ბებიის საყვარელი ნივთი. როგორ მოიქცევა ბებია?***

ა. ნამსხვრევების აკრეფაში დაეხმარება. ბ. გაკიცხავს. გ. აუკრძალავს მტვრის გაწმენდას.

***8. როგორი დამოკიდებულება აქვთ ბებიას და ბაბუას შვილიშვილის მიერ დამოუკიდებლობის გამომჟღავნებისადმი?***

ა. პატარაობიდანვე წააქეზებენ. ბ. არ მოსწონთ. გ. მიაჩნიათ, რომ ამისთვის შვილიშვილი ძალიან პატარაა.

***9. შვილიშვილმა სკოლის ეზოს დასუფთავებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. რას ეუბნებიან ბებია და ბაბუა.***

ა. კარგად უნდა გაისარჯო. ბ. არ იხილავენ ამ საკითხს. გ. ბუზღუნებენ და ამბობენ, რომ ეზოს დასუფთავება ბავშვის საქმე არ არის.

***10. შვილიშვილმა რაღაც დააშავა. როგორ რეაგირებენ ბებია და ბაბუა?***

ა. გაკიცხავენ. ბ. დასჯიან. გ. ბავშვს დაიცავენ.

## პასუხები

**პასუხები შეაფასეთ: ა — 0, ბ — 1, გ — 2 ქულა**

**0-6 ქულა:** ბებია და ბაბუა აქტიურად გეხმარებიან შვილის აღზრდაში, მკაცრი და კეთილი არიან და პრინციპებზე უარს არ ამბობენ.

**7-13 ქულა:** ბებია და ბაბუა ცოტათი ანებივრებენ შვილიშვილებს. გრძნობები არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას აღზრდაზე.

**14-20 ქულა:** თავისი გადაჭარბებული სიყვარულით ბებია და ბაბუა დათვურ სამსახურს უწევენ შვილიშვილებს. თუ ასე გააგრძელეს, განებივრებული და ჭირვეული ბავშვების პირისპირ აღმოჩნდებით.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. კარსტული მღვიმე იმერეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ბანკში შეტანილი თანხა; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ფასის დაწევა საქონელზე უხარისხობის გამო; 16. დეტექტური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

**თარაზულად:** 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 14. მარმარილოს საბადო კახეთში; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



## იუმორი



— ახალი წელი პროგრამისტებისათვის სხვა დღეებისაგან იმით განსხვავდება, რომ მონიტორების გვერდით გაურეცხავი ჭიქების გარდა მანდარინის ნაფცქვენებიც ჩნდება...

* * *

— მოსავლიან წელს მამიკო კარლო ბურატინოსაგან ხანდახან 3-4 კილოგრამ კალმახა სოკოს აგროვებდა ხოლმე...

* * *

— თქვენს შორის თავს ისე ვგრძნობ, თითქოს აფრიკაში ვიყო.
— როგორ თუ აფრიკაში?
— გარშემო მხოლოდ ნიანგებს ვხედავ...

* * *

— მოგწონთ, როგორ მღერის ჩემი ცოლი?
— უკაცრავად, რა ბრძანეთ?
— ჩემი ცოლი როგორ მღერის, მოგწონთ?
— მაპატიეთ, ეს იდიოტი ისე გაჰკივის, არაფერი მესმის...

* * *

ზარი სერვისის ბიუროში
— ჩემი პრინტერი აღარ ბეჭდავს.
— გასაწმენდი იქნება. ათი დოლარი ღირს, მაგრამ თავად თუ გაწმენდთ, ამ თანხას დაზოგავთ.

სერვისის თანამშრომელმა ყურმილი დაკიდა. მეგობარი ეკითხება:
— შენ რა, ფული აღარ გჭირდება?
— როგორ არ მჭირდება, უბრალოდ, პრინტერს თავად რომ გაწმენდს, მისი გარემონტება 100 დოლარი დაუჯდება...

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 1 ოქტომბერი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — საღამო მშვენიერი იქნება. **ლომი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ერთი საკითხი გაქვთ მოსაგვარებელი, დღეს იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — კარგი დღეა საქმიანი ურთიერთობისთვის. **მშვილდოსანი** — არ დაივიწყოთ წარსული, მაგრამ არც მოგონებებში გადაეშვათ. **თხის რქა** — თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **მერწყული** — დაჯილდოვდებით, თქვენ ეს დაიმსახურეთ. **თევზები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ.

### 2 ოქტომბერი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — კითხვებზე პასუხს თქვენით იპოვით. **ლომი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ქალწული** — დღეს სხვები დაგეხმარებიან, მშვიდად იყავით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — გზიდან საჩუქარს მიიღებთ. **მშვილდოსანი** — ახალი საქმე მოგეწონებათ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი საჩუქარს გიმზადებთ, მადლობის გადახდა არ დაგავიწყდეთ. **მერწყული** — თქვენი ოპონენტები მოძლიერდებიან, მოემზადეთ მათთან შესახვედრად. **თევზები** — დრო არ გაფლანგოთ, მერე ინანებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!